ახალი განათლება

2015 წელი, 2 ივლისი

ფასი 1 ლარი 50 თეთრი

№25 (699) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

აქტუალური თემა

როგორი მოქალაქე უნდა გაზარდოს სკოლამ

ისეთი განცდა მაქვს, რომ წრეზე ტრიალს ჰგავს ხოლმე არა ჩვენი სიტყვები და აზრები, არამედ ამ სიტყვების სიღრმე. მახსოვს, კომუნისტების დროს ლამაზი ლოზუნგები ჰქონდათ. თავისთავად, ამ ლოზუნგებში ცუდი არაფერი იყო, მეტიც, სიღრმისეულად რომ ჩასწვდომოდი, შეიძლება ბრძნულადაც მოგჩვენებოდა. ხანდახან ისეთი განცდა მეუფლება, რომ ახლა აზრობრივად უკეთესი ლოზუნგებია, თან დემოკრატიაა, მაგრამ სიღრმისეულად როცა ვიხილავთ, ისევ იმავე დონეზეა, როგორც მაშინ – ძალიან მეჩხერ და ზედაპირულ.

თუ გინდა დასავლური ტიპის საზოგადოება ჩამოაყალიბო, უნდა შეიქმნას ძლიერი კლიმატი, რომელიც ასეთ საზოგადოებას აყალიბებს. შანსი არ არის, რომ ეს საზოგადოება ამ ლოზუნგებით ჩამოყალიბდეს. ერთადერთი გარემო, სადაც მსგავსი საზოგადოების ჩამოყალიბება შეიძლება, სკოლა და უნივერსიტეტია, უფრო მეტად სკოლა – თუ სკოლაში დრო დაიკარგა და ეს კუნთი არ გავარჯიშდა, არა მგონია, უნივერსიტეტში გავარჯიშდეს.

გვერდი 2

პედაგოგთა დასახმარებლად

როგორ მივცეთ მოსწავლეებს პრეზენტაციების შემდეგ სწორი უკუკავშირი

გერმანული ენა

გვერდი 4

სახელმძღვანელოები

პრესკონფერენცია სასკოლო სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით

გვერდი 5

CMYK

აქტუალური თემა

როგორი მოქალაქე უნდა გაზარდოს სკოლამ

ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად, სკოლამ ბავშვი თავისუფალ საზოგადოებაში აქტიური ცხოვრებისთვის უნდა მოამზადოს, ჩაუნერგოს მშობლების, კულტურული თვითმყოფადობის, მშობლიური ენის, ასევე სხვათა კულტურული ტრადიციებისა და ფასეულობების პატივისცემა. საქართველომ, 2004 წელს, მიიღო ზოგადი განათლების მიზნების დოკუმენტი, რომლის სულისკვეთებაც ბავშვთა უფლებათა კონვენციის 29-ე მუხლს პასუხობს.

რამდენად არის დღეს სკოლა მზად თავისუფალი, მოაზროვნე მოქალაქეების მოსამზადებლად, რომლებსაც შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება შეეძლებათ? რამდენად პასუხობს ზოგადი განათლების პოლიტიკა 2006 წელს მიღებული ზოგადი განათლების მიზნების დოკუმენტსა და ბავშვთა უფლებათა კონვენციის ამოცანებს? რა გამოწვევებია ზოგადი განათლების სფეროში ამ კუთხით? – ამ თემებზე ისაუბრეს ფრონტლაინ კლუბში გამართულ შეხვედრაზე განათლების მკვლევარმა **სიმონ ჯანაშიამ**, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის წარმომადგენელმა **შალვა ტაბატაძემ** და ფილოლოგმა **ლევან გიგინეიშვილმა**.

დისკუსია ჩატარდა პროექტის „ბავშვთა უფლებების თემაზე“ ფარგლებში, გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით.

სიმონ ჯანაშია, განათლების მკვლევარი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ვფიქრობ, აუდიტორიის ნაწილისთვის საინტერესო იქნება, როგორ შედგა ეროვნული მიზნების დოკუმენტი 2004 წელს და რა მიზნებს ატარებს თავად „მიზნების დოკუმენტი“. თავისთავად ცხადია, შეიძლება ბევრნაირად განვსაზღვროთ ზოგადი განათლების მიზნები. შეიძლება ეს ინდივიდუალური მიზნები იყოს – საზოგადოებას, ყოველ ჩვენგანს, თავისი ინტერესი აქვს სასკოლო განათლების მიმართ, რადგან საკუთარი შვილები მიგვყავს სკოლაში ან თავად ვსწავლობთ. სახელმწიფოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო შეთანხმებული დოკუმენტის მიღება, რომ ზედ დაეშენებინა სხვა ინსტრუმენტები. ეს დოკუმენტი არ უნდა განვიხილოთ, როგორც ტრაქტატი, უფრო როგორც ინსტრუმენტი იმისთვის, რომ მის გარშემო სხვა ინსტრუმენტები განვითარებულიყო. რა არის ეს სხვა ინსტრუმენტები? მიზნების დოკუმენტზე უნდა დაფუძნებულიყო სხვადასხვა საგნების სწავლების კონცეფციები, ანუ მიზნებიდან გამომდინარე, უნდა განსაზღვრულიყო – რა ისწავლებოდეს, როდის და რატომ. მას, თეორიულად, უნდა დაფუძნებოდა ისეთი სისტემები, როგორიცაა, მაგალითად: მოსწავლეების შეფასების სისტემა, გამოცდების სისტემები, მასწავლებლების მომზადების სისტემები, სახელმძღვანელოები, სკოლის ინფრასტრუქტურა, სკოლის მართვის პრინციპები და სხვ.

რა იყო მნიშვნელოვანი ამ დოკუმენტის შემუშავების დროს. პირველი – დოკუმენტი უნდა ყოფილიყო გაზიარებული სასკოლო საზოგადოების მხრიდან, ანუ შექმნილიყო არა რომელიღაც კონკრეტული ექსპერტის მიერ, არამედ ფართო კონსულტაციის საფუძველზე. ამიტომაც 2004 წელს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, ჯერ შეიქმნა 14-წევრიანი საკონსულტაციო საბჭო, რომლის შემადგენლობაში იყვნენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, უმცირესობების წარმომადგენლები, პედაგოგები, სხვადასხვა მეცნიერების წარმომადგენლები და ა.შ. თავიდან პროექტი სწორედ ამ ჯგუფში შეიქმნა, შემდეგ გაიგზავნა ყველა სკოლაში. შეგროვდა გამოხმაურებები – მაშინ 3100 სკოლა იყო. პროცესში ჩართული იყო არასამთავრობო ორგანიზაციების დიდი ჯგუფი, მათ შორის პროფკავშირები, რომლებიც პასუხების აგრეგირებას ახდენდნენ და, ამ რეკომენდაციების გადამუშავების შემდეგ, ჩამოყალიბდა საბოლოო დოკუმენტის სახე. პირველადი სახე მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა არა მხოლოდ დებულებებით, არამედ სტრუქტურითაც – შედიოდა არა მხოლოდ მიზნების ჩამონათვალი, არამედ განხორციელების საშუალებების აღწერაც, მაგალითად, რამდენი საგანი უნდა ისწავლებოდეს, როგორი უნდა იყოს საგნის მოცულობა და ა.შ. იყო მიზნების ორი ჯგუფი – რა მიზნები აქვს ზოგადად სახელმწიფოს და რას უნდა მიაღწიონ მოსწავლეებმა სასკოლო გამოცდილების მიღების საფუძველზე.

ამ დოკუმენტის შექმნისას მნიშვნელოვანი იყო გამოჩენილიყო ის მიდგომები, რაც სახელმწიფოს ჰქონდა განათლების მიმართ, მაგალითად, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება, რაც ამ დროს განხორციელდა, იყო ის, რომ სახელმწიფომ განსაზღვრა – მოსწავლეს სკოლა პირდაპირ განათლებას კი არ აძლევს, არამედ გამოცდილებას, რომელიც საშუალებას იძლევა, მოსწავლემ მიიღოს განათლება. ეს მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა წინა კონცეფციისგან იმით, რომ მოსწავლე გახდა აქტიური მსწავლელი, ანუ ადამიანი, რომელიც თვითონ ქმნის საკუთარ ცოდნას, თავისთავად ცხადია, იმ გარემოსა და გამოცდილების დახმარებით, რასაც ხელს უწყობს სახელმწიფო.

მეორე მნიშვნელოვანი ცვლილება – დოკუმენტში პირდაპირ წერია, რომ მოსწავლის აღზრდა ხდება არა რაიმე საგნების ფარგლებში, არამედ ზოგადად სკოლაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე. რაც ასევე გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეები უნდა მონაწილეობდნენ, მაგალითად, სკოლის თვითმმართველობაში და განათლებას უფროსებთან ურთიერთობით იღებდნენ. განათლების მიღება არ იზღუდება მხოლოდ გარკვეული საგნების ფარგლებში მიღებული გამოცდილებით – ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

მესამე მნიშვნელოვანი ცვლილება თავისთავად მიზნების არსებობის ფაქტია. მანამდე, უბრალოდ, იყო რამდენიმე დებულება, რომელიც კანონში ეწერა, მაგრამ არ იყო ჩამოყალიბებული და შეთანხმებული დოკუმენტი, რომელიც იტყოდა, რომ ჩვენ, საზოგადოება, ვთანხმდებით რაღაც მიზნებზე ან ხედვაზე, თუ როგორი გვინდა იყოს სკოლადამთავრებული, ნაცვლად იმისა, რომ ვისაუბროთ იმაზე, თუ როგორი გვინდა იყოს სკოლა. ეს მნიშვნელოვანი განსხვავებაა.

შეიძლება შეთანხმდე საბოლოო შედეგზე და შემდეგ სხვადასხვა ორგანიზაციებს მისცე საშუალება და თავისუფლება, სხვადასხვა გზით მიაღწიონ ამ შედეგს. პრინციპში, ეს მხოლოდ განათლების თანამედროვე კონცეფციებს არ ეხმიანებოდა, არამედ საქართველოს კონსტიტუციასაც, სადაც პირდაპირ წერია, რომ ნებისმიერ მოქალაქეს აქვს უფლება, თავად აირჩიოს განათლების ის ფორმა, რომელიც მისთვის უფრო მისაღებია.

რა არის ამ დოკუმენტის დებულებები?

დოკუმენტი აყალიბებს რვა მახასიათებელს, რაც სასურველია, რომ ჰქონდეს მოზარდს, რომელიც სკოლას დაამთავრებს. მახასიათებლები, თითოეულ მოსწავლეში, შეიძლება სხვადასხვა დონეზე იყოს მიღწეული. ყველა სკოლადამთავრებულს უნდა შეეძლოს:

• საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება ქვეყნის ინტერესებისა და ღირებულებების მიმართ;

• გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც მის სასიკეთოდ იქნება;

• გარემოსთან ურთიერთობა ისე, რომ სხვა არ დააზარალოს;

• სხვადასხვა ტექნოლოგიების ინტელექტუალური მიღწევების გამოყენება საკუთარ ცხოვრებაში და საზოგადოების სასიკეთოდ;

• დამოუკიდებლად ცხოვრება და გადაწყვეტილებების მიღება;

• იყოს შემოქმედებითი – არა მხოლოდ იყენებდეს იმას, რაც არსებობს, არამედ თავადაც შეეძლოს შექმნას ღირებული;

• საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების უწყვეტად განვითარება;

• სკოლა არ უნდა იყოს ის ადგილი, სადაც ადამიანი წყვეტს განათლებას, პირიქით, სკოლა უნდა აძლევდეს შესაძლებლობას, მუდმივად, მთელი ცხოვრების განმავლობაში ვითარდებოდეს სკოლისგან დამოუკიდებლადაც.

არის ცალკე მახასიათებელი, რომელიც გულისხმობს, რომ ადამიანებს უნდა შეეძლოთ: ეფექტურად კომუნიკაცია ერთმანეთთან, სხვა ინდივიდებთან და ასევე, ადამიანების ჯგუფებთან; განსხვავებულის პატივისცემა; კანონის მორჩილება. უნდა იცოდნენ, რა საზოგადოებრივი ნორმები ან კანონები არსებობს და შეეძლოთ ამ ნორმებთან ურთიერთობა.

თავისთავად, შეიძლება სხვა მიზნებიც არსებობდეს, რაც ამ ჩამონათვალში არ არის, მაგალითად, ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმდევრობა, რაც მნიშვნელოვანია ადამიანის მომავალი ცხოვრებისთვის; მართვის უნარების ფლობა. იყო წინადადება, რომ ყოფილიყო მეწარმეობის უნარების განვითარება და სხვ. მაგრამ ეს არის ის შეთანხმება, რომელიც ფართო კონსულტაციების საფუძველზე შედგა და დამტკიცდა საქართველოს მთავრობის მიერ.

გარდა ამ კონსულტაციებისა, ეს მიზნები, რაც შეიძლება ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული სასკოლო სივრცეში – არა მხოლოდ მასწავლებლებამდე, მოსწავლეებამდე და მათ მშობლებამდე. ამისთვის მომზადდა მოსწავლეების ვარიანტი. ერთ-ერთ სკოლაში ეს მიზნები შედარებით ფორმალურ ენაზე წავიკითხეთ და მოსწავლეებმა მათთვის უფრო გასაგებ ენაზე გადათარგმნეს, სწორედ ეს ვარიანტი ჩაიდო შემდეგ ყველა სახელმძღვანელოში. ყველა გამომცემელი იყო ვალდებული, გაეთვალისწინებინა ეს მიზნები და სახელმძღვანელოს ბოლო გვერდზე დაებეჭდა.

რამდენად გავრცელდა ეს მიზნები და რამდენად იყენებს სახელმწიფო თუ საზოგადოება, აქ უკვე სერიოზული პრობლემებია. ერთ-ერთი ნიშანი, რომ მართლა გვაქვს პრობლემა, ის არის, რომ ძალიან ბევრი ინსტრუმენტი, რომელიც ზოგადი განათლების სისტემაში დაინერგა, ამ მიზნებს არ ითვალისწინებს, მაგალითად, ის, რომ აქცენტი უნდა იყოს შემოქმედებითობაზე, მაინცდამაინც კარგად არ ჩანს გამოცდების სისტემაში, აქ უფრო დამახსოვრებაზე ორიენტირებული მიზნებია. არ ჩანს, რა მიზანს ემსახურება მოსწავლის ფაქტობრივი ცოდნის შემოწმება. მნივშნელოვანია არა ის, რომ ადამიანს ჰქონდეს მეტი ინფორმაცია, არამედ ის, შეუძლია თუ არა ნებისმიერი ინფორმაციის კრიტიკულად შეფასება, დამუშავება, თავად შექმნა, გავრცელება და სხვ.

მასწავლებლების ნაწილს ეს დოკუმენტი არ აქვს მაინცდამაინც კარგად წაკითხული ან – გაგებული. არის ნიუანსები, რომლებიც სხვადასხვანაირად ესმით, მაგალითად, ძალიან დიდი განსხვავებაა, როდესაც ვამბობთ, რომ ადამიანს უნდა შეეძლოს საკუთარი პასუხისმგებლობის განსაზღვრა ქვეყნის ინტერესებთან მიმართებაში და მეორეა, როცა ვამბობთ, რომ ადამიანმა უნდა იცოდეს, რა არის ქვეყნის ინტერესები და ამ ინტერესების მიხედვით უნდა მოქმედებდეს, ანუ აქ თავად პიროვნების როლი იკარგება. პიროვნებას უნდა შეეძლოს, თავად განსაზღვროს საკუთარი ადგილი, სწორედ ეს არის ჩადებული მიზნებში და არა ის, რომ ადამიანმა იცოდეს, რა ადგილი მიუჩინა მას საზოგადოებამ. თავისთავად ცხადია, შეიძლება სხვაგვარი მიდგომებიც ყოფილიყო, უფრო ფართო მიზნები. სხვათა შორის, ამ მიზნებამდე არსებობდა პროექტი, რომელიც, 2004 წლამდე, სამინისტროს წინა ჯგუფმა მოამზადა და მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურებოდა – ზოგადი განათლების მიზანი თავისუფალი მოქალაქის აღზრდაა. შემდეგ იყო ფილოსოფიური მსჯელობა იმის შესახებ, რას ნიშნავს თავისუფალი მოქალაქე. შეიძლება ძალიან საინტერესო ტექსტი იყო, მაგრამ იმ ტექსტის გამოყენება პოლიტიკის ინსტურმენტების დასაგეგმად უფრო რთული იყო. მნიშვნელოვანია, არ დაგვავიწყდეს – ეს ინსტურმენტია და არა საინტერესო ფილოსოფიური ნაშრომი. მაგალითად, როდესაც ახალი საგანი შემოგვაქვს, უნდა დავსვათ კითხვა, რომელ მიზანს ეხმიანება ეს საგანი ან ხომ არ არის სხვა მიზანიც, რომელიც დაგვავიწყდა, მაგალითად, როცა შემოგვაქვს სამოქალაქო თავდაცვა, აუცილებლად უნდა ვიკითხოთ, ჩამოთვლილი მიზნებიდან რომელს ეხმიანება? თუ არც ერთს, დავფიქრდეთ, საერთოდ რატომ შემოგვაქვს.

ცხადია, ამ მიზნების, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა დოკუმენტის, ინტერპრეტაციები უნდა არსებობდეს, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ მის ირგვლივ დისკუსიები მუდმივად მიმდინარეობს, რისთვისაც მადლობას ვუხდი ამ შეხვედრის ორგანიზატორებს.

შალვა ტაბატაძე, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის წარმომადგენელი

ეროვნული მიზნების განსაზღვრისას ძალიან ბევრი ფაქტორია გასათვალისწინებელი, მათ შორის – რა ტიპის სახელმწიფოს ვაშენებთ და რა ტიპის მსოფლიოში ვცხოვრობთ. გვაქვს გლობალური ეპოქა, რომელიც ცვლის სამყაროს, ურთიერთობებში – დინამიზმს და, რა თქმა უნდა, განათლების სისტემამ ამ გლობალურ გამოწვევებს უნდა უპასუხოს. მნიშვნელოვანი ფაქტორია ინფორმაციული საზოგადოება და ინფორმაციის ძალიან დიდი ნაკადი, რომელიც დღესდღეობით არ-

აქტუალური თემა

სებობს. შესაბამისად, აქ მნიშვნელოვანი ხდება სხვა ტიპის მიდგომები როგორც სწავლებისას, ასევე მოქალაქის აღზრდისას.

რა გავლენას ახდენენ ეს ფაქტორები ეროვნული მიზნების ფორმირებაზე? თუ ეროვნულ მიზნებს ჩავიკითხავთ, იქ განხორციელების გზები არ არის, თუმცა მეტ-ნაკლებად ჩანს განათლების კონცეფციები, რაზე დაყრდნობითაც უნდა მოხდეს ამ ეროვნული მიზნების მიღწევა, იგივე განათლების პრინციპი, ტექნოლოგიების გამოყენება და მასთან ადაპტირების უნარი, ტოლერანტობისა და ადამიანის უფლებების სწავლება და ა.შ. ასახულია ყველა მიდგომა, რეალურად გამოწვეული იმ ცვლილებებით, რაც გლობალურმა სამყარომ განიცადა და რაც საქართველოს განვითარებაში დევს.

თანამედროვე მსოფლიოში აქცენტი კეთდება არა იმაზე, თუ რას ვასწავლით, ანუ შინაარსობრივ ნაწილზე, არამედ იმაზე, თუ რა პირობებში, რა გარემოში და როგორ ვასწავლით. აქცენტი კეთდება არა ინფორმაციის დამახსოვრებაზე, არამედ ამ ინფორმაციის დამუშავებაზე, ძალიან მარტივი მიზეზის გამო – თანამედროვე გლობალურმა სამყარომ და ტექნოლოგიებმა ინფორმაციის ყოველდღიური უზარმაზარი ნაკადი მოიტანა. კვლევებით დადასტურებულია, რომ უმაღლეს სასწავლებლებში, პირველ კურსზე ნასწავლი ინფორმაცია, მეორე კურსზე უკვე მოძველებულია. შესაბამისად, აქცენტი კეთდება ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობებზე, მის ანალიზზე, დამუშავებაზე, რაც განათლების სისტემამ უნდა გაითვალისწინოს. გარდა ამისა, განვითარებული ეკონომიკის პირობებში, კონკურენტული მოქალაქის აღზრდის საკითხი დგას როგორც საქართველოს შრომითი ბაზრისთვის, ისე საერთაშორისო. კონკრეტული სპეციალობისთვის მოქალაქის მომზადება საკმაოდ რთულია, ამიტომ აქცენტი იმ უნარებსა და კომპეტენციებზე უნდა კეთდებოდეს, რომლის გამოყენებასაც შეძლებს, თუნდაც განსხვავებული საქმიანობის შესრულებისას.

განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში დათვლილია, რომ 38 წლამდე ადამიანი, დაახლოებით, 14 სამუშაო ადგილს იცვლის. აქედან გამომდინარე, სასურველია, ისეთი განათლების სისტემა, რომელიც ახალგაზრდას შესაძლებლობას მისცემს, ისე განივითაროს უნარები, რომ სამუშაო ადგილის შეცვლისას დაბრკოლება არ შეექმნას. შესაბამისად, აკადემიური საგნების სწავლებასთან ერთად, აქტიური მოქალაქის აღზრდის საკითხიც დადგა (რაც ეროვნულ მიზნებშიც გათვალისწინებულია) .ეს აქტუალურია არა მხოლოდ საქართველოსთვის, არმედ მთელი მსოფლიოსთვის. ერთ-ერთი ფრანგული სახელმძღვანელო, რომელიც ქართულადაა ნათარგმნი – „სკოლა და საზოგადოება“ – საკმაოდ კარგად განიხილავს ამ საკითხებს. ავტორი გამოყოფს იმ ოთხ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას, რომელიც სკოლამ მოსწავლეს აკადემიური საგნების მიღმა უნდა განუვითაროს – დამოუკიდებლობა, ანუ დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უნარი, უნივერსალიზმი და განსაკუთრებულობა, რომელიც უნივერსალურ პრინციპებს აყალიბებს – მოსწავლემ უნდა იცოდეს, როგორ იცხოვროს უნივერსალური პრინციპების პირობებში და, განსხვავებულობის მიმართებაში, როგორ მოახდინოს რეაგირება. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, წარმატებულობის და წარუმატებულობის პრინციპები – მოსწავლე სკოლაში ეჩვევა როგორც წარმატებას, ისე წარუმატებლობას. ეს ყველაფერი შეიძლება სკოლაში აკადემიური საგნების სწავლებისას ან მის მიღმა მოხდეს.

რა ტიპის პრობლემები გვაქვს საქართველოში ამ კუთხით და რატომ შეიძლება იყოს პრობლემური სამოქალაქო აქტივიზმის განვითარება?

პირველი საკითხი, რომელსაც სამეცნიერო წრეებში გამოყოფენ, ე.წ. ფარული კურიკულუმია, ანუ აკადემიური საგნების სწავლებისას ის ურთიერთდამოკიდებულება, ურთიერთობების დინამიკა, რომელიც კლასის შიგნით არსებობს – მოსწავლე ეჩვევა კონკრეტული როლის შესრულებას, შრომის გადანაწილებას, საკუთრების გრძნობის განცდას, გადაწყვეტილების მიღებას კონკრეტული სასწავლო დავალების შესრულებისას.

მნიშვნელოვანია, რამდენად კარგად სრულდება ეს მასწავლებლების მიერ სასწავლო პროცესში. თუმცა, ფარული კურიკულუმის გამოყენება სკოლის შიგნითაც განსხვავებულია – მასწავლებლებს შორის და სკოლებს შორისაც. მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც ამ საკითხს უკავშირდება, მოსწავლეთა კლასიფიკაციაა – ანუ ამ როლების გადანაწილებაში ან გადაწყვეტილების მიღებაში ჩართვა, თუკი ეს სასწავლო პროცესთანაა დაკავშირებული, მასწავლებლები ახდენენ მოსწავლეთა კლასიფიკაციას, რომელიც ყოველთვის არ ეყრდნობა აკადემიურ უნარებს ან მიღწევებს, არამედ შეიძლება დაკავშირებული იყოს მოსწავლის სოციალურ წარმომავლობასთან ან რელიგიურ თუ ეთნიკურ კუთვნილებასთან. შესაბამისად, კონკრეტული მოსწავლე, საკუთარი მახასიათებლების მიხედვით, მასწავლებლისგან იღებს განსხვავებულ ფარულ კურიკულუმს. შესაბამისად, განსხვავებული სამოქალაქო აქტივიზმის და გადაწყვეტილებების უნარი უვითარდება ერთ მოსწავლეს და განსხვავებული – მეორეს.

სამოქალაქო აქტივიზმის უნარების განვითარება, ყველაზე ეფექტურად, არა საგნების სწავლებისას ხდება, არამედ უშუალოდ სასკოლო ცხოვრების მიმდინარეობის პროცესში. სკოლა უნდა წარმოადგენდეს „საზოგადოების მოდელს“ და იქ არსებული ცხოვრებისა და ურთიერთობის წესით უნდა ამზადებდეს მოსწავლეს რეალური საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის. არსებითი პრობლემა ის არის, რომ, მიუხედავად არაერთი მცდელობისა, ამ ხნის განმავლობაში, სკოლებმა ე.წ. „საზოგადოების მოდელებად“ ჩამოყალიბება ვერ მოახერხეს. ამაზე ძალიან ბევრმა ფაქტორმა იქონია გავლენა, მათ შორის სამინისტროს ცენტრალიზებულმა დამოკიდებულებამ გარკვეული პროცესების მართვაზე, ანუ როცა მოსწავლე რეალურად არ არის სამოქალაქო აქტივიზმსა და სასკოლო ცხოვრებაში ჩართული, როცა მასწავლებელი ვერ იღებს ელემენტარულ დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს სასკოლო ცხოვრებასთან და სწავლებასთან დაკავშირებით, ანალოგიურად – სკოლის დირექტორიც, ეს იმას ნიშნავს, რომ უნარები, რომელსაც სასკოლო ცხოვრება აყალიბებს, ვერ ვითარდება.

სკოლების სამოქალაქო აქტივიზმის კონტექსტში, წინ იწევს სკოლების დეცენტრალიზაციის საკითხი. უნდა ვაღიაროთ, რომ პირდაპირი ბმა სკოლის დეცენტრალიზაციასა და აკადემიურ წარმატებას შორის არ არის, თუმცა დეცენტრალიზაციაა სწორედ ის ინსტრუმენტი, რითაც შესაძლებელი ხდება სამოქალაქო საზოგადოების შექმნა სკოლაში. ამიტომ დეცენტრალიზაცია უფრო მეტად გამოსადეგია არა აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, არამედ სწორედ სამოქალაქო ცნობიერების ასამაღლებლად და აქტიური მოქალაქის მოსამზადებლად. აი, ეს არის კიდევ ერთი დამატებითი ხარვეზი, რის გამოც, რეალურად, სკოლებში მოსწავლე დამოუკიდებელ საზოგადოებაში ფუნქციონირების უნარ-ჩვევებს ვერ იძენს, რაც შესაბამისად, მისი საზოგადოებრივი ცხოვრების აქტივობაზე აისახება.

რა შეიძლება გაკეთდეს და რაშია პრობლემა? რეალურად, დღეს, ოცდამეერთე საუკუნეში, როცა ვიცით, რა ტიპის სახელმწიფო და რა ტიპის მოქალაქეები გვჭირდება, ამის მიღწევას, მეოცე საუკუნისთვისაც კი ძალიან ჩამორჩენილი, განათლების სისტემით ვცდილობთ. შეიძლება სისტემა, რომელიც მეოცე საუკუნეში, იმ პირობებისთვის, იმ საზოგადოებრივი მოთხოვნისთვის თუ სახელმწიფოს განვითარებისთვის ან საერთაშორისო ურთიერთობებისთვის, რომელიც მაშინ არსებობდა, ძალიან კარგიც იყო, მაგრამ აბსოლუტურად გამოუსადეგარია ოცდამეერთე საუკუნეში. რეალურად ახალი განათლების სისტემა გვჭირდება, რომელიც ოცდამეერთე საუკუნის მოთხოვნებს და ქვეყნის განვითარების დღევანდელ დინამიკას მოერგება. კოსმეტიკური ცვლილებებით, რაც სისტემაში ხდება, ვფიქრობ, ვერაფერს მივაღწევთ.

შესაბამისად, უნდა ვიფიქროთ, ვიმსჯელოთ და დისკუსიები მივუძღვნათ სწორედ იმას, როგორია განათლების ახალი, ოცდამეერთე საუკუნის სისტემა, ახალი სკოლა, რომელიც რეალურად მოიტანს ყველა იმ უნარებს როგორც ინდივიდუალურ, ასევე სოციალურ დონეზე მოსწავლეთა განათლების თვალსაზრისით. ადამიანებმა ინდივიდუალურად და ისეთ საზოგადოებრივ გარემოში უნდა შეძლონ განათლების მიღება, სადაც თანაბარი შესაძლებლობების პირობები იქნება – ასეთ პირობებში კი ინდივიდი, საკუთარი პოტენციალიდან გამომდინარე, საკუთარ თავს იპოვის საზოგადოებაში. ამის მიღწევა რადიკალურად განსხვავებული, შესაძლებელია, ხშირად საზოგადოებისთვის მიუღებელი, განათლების ახალ სისტემაზე და ახალ სკოლაზე ფიქრითაა შესაძლებელი. შეიძლება გარკვეული ექსპერიმენტებიც ჩავატაროთ, რათა ვუპასუხოთ განათლების ეროვნულ მიზნებს, რომელიც, ვფიქრობ, საკმაოდ კარგი დოკუმენტია და მისი რეალიზაცია რეალურად მიგვიყვანს იმ სახელმწიფოსა და საზოგადოების მშენებლობამდე, რომელიც ჩვენი მიზანია.

ლევან გიგინეიშვილი, ფილოლოგი

ისეთი განცდა მაქვს, რომ წრეზე ტრიალს ჰგავს ხოლმე არა ჩვენი სიტყვები და აზრები, არამედ ამ სიტყვების სიღრმე. მახსოვს, კომუნისტების დროს ლამაზი ლოზუნგები ჰქონდათ. თავისთავად, ამ ლოზუნგებში ცუდი არაფერი იყო, მეტიც, სიღრმისეულად რომ ჩასწვდომოდი, შეიძლება ბრძნულადაც მოგჩვენებოდა. ხანდახან ისეთი განცდა მეუფლება, რომ ახლა აზრობრივად უკეთესი ლოზუნგებია, თან დემოკრატიაა, მაგრამ სიღრმისეულად როცა ვიხილავთ, ისევ იმავე დონეზეა, როგორც მაშინ – ძალიან მეჩხერ და ზედაპირულ. დასავლური ცივილიზაციისკენ ვისწრაფვით, მაგრამ რა არის ამ ცივილიზაციის არსი – როგორი მოქალაქე სჭირდება ამას, როგორი კუნთი სჭირდება თავისუფლების და პასუხისმგებლობის რა რეგისტრი? საიდან გაჩნდა საერთოდ პასუხისმგებლობის ეს რეგისტრი, რა არის ევროპული პასუხისმგებლობა? თვითონ დღევანდელი ევროპა ატარებს თუ არა იმ კლასიკური ლიბერალიზმის პასუხისმგებლობას, თუ თვითონაც გადაუხვია ამ გზიდან – ეს ძალიან რთული მსჯელობის თემაა. ვფიქრობ, თუ გინდა დასავლური ტიპის საზოგადოება ჩამოაყალიბო, უნდა შეიქმნას ძლიერი კლიმატი, რომელიც ასეთ საზოგადოებას აყალიბებს. შანსი არ არის, რომ ეს საზოგადოება ამ ლოზუნგებით ჩამოყალიბდეს. ერთადერთი გარემო, სადაც მსგავსი საზოგადოების ჩამოყალიბება შეიძლება, სკოლა და უნივერსიტეტია, უფრო მეტად სკოლა – თუ სკოლაში დრო დაიკარგა და ეს კუნთი არ გავარჯიშდა, არა მგონია, უნივერსიტეტში გავარჯიშდეს. ასეთი შემთხვევები მქონია.

ჩემი გამოცდილება სკოლასთან არ იწყება მხოლოდ იმით, რომ ვასწავლი, თავადაც ხომ ვსწავლობდი. საბედნიეროდ, წყვეტა არ მქონია, სულ აკადემიურ სივრცეში ვარ. საბჭოთა სკოლის სიტუაცია იყო მარტო ინდოქტრინაცია – სწავლისა და სწავლების განსხვავება. ინდოქტრინაცია ერთია, როცა მე მაქვს ცოდნის რაღაც მასა და ეს უნდა ჩავუდო სხვას თავში, დაახლოებით სიდს გავს, რომელსაც ჩავდებთ კომპიუტერში და, თუ კარგად დატრიალდა, ყველაფერი კარგადაა. ასე ევანგელისტი მქადაგებლები იქცევიან ხოლმე, შემოგაჩეჩებენ ბროშურას ხელში და საერთოდ არ აინტერესებთ, შენ რა ტრადიცია გაქვს, იცი ქრისტიანობა თუ არ იცი. სწავლება სხვა რამეა, შენ უნდა დაანახო ბავშვს, რომ რაშიც ის მონაწილეობს, იმაში მასწავლებელიც მონაწილეობს, მასწავლებლისთვისაც საინტერესოა ახალი აზრები, რასაც კონკრეტულ თემაზე მსჯელობა გამოავლენს. კითხვები, რომლის პასუხისთვისაც შეიძლება მასწავლებელი მზად არ აღმოჩნდეს, არ უნდა დამალოს. პირიქით, თქვას, ეს იმდენად საინტერესო კითხვაა, რომ ჯერ ამაზე პასუხი არ მაქვს და, მოდი, ერთად ვიფიქროთ. მოსწავლეს ისეთი განცდა არ უნდა ჰქონდეს, რომ მასწავლებელი არის სტრუქტურა, რომელსაც უნდა მოერგოს. ეს კი მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც მასწავლებელი აჩვენებს, რომ განათლების პროცესი მისთვისაც საინტერესოა და იმ უსასრულო სივრცეში, რომელიც სკოლაშია, უამრავი პრობლემაა...

მასწავლებელმა აუცილებლად უნდა მისცეს მოსწავლეს თავისუფალი აზრის გასაქანი, თუნდაც ხედავდეს, რომ შეცდომაა, შეცდომასაც მისცეს გასაქანი, რადგანაც ის შეცდომა რეალური აზროვნების პროცესზეა აგებული – არ უნდა დააბრკოლოს აზროვნების პროცესი. მაგალითად, თუნდაც მოსწავლემ დაწეროს ან თქვას, რომ შუშანიკი ძალიან ცუდი დედაა, რომ არ მიიღო თავისი შვილები და ამის შესახებ საკუთარი არგუმენტები წამოაყენოს (დღევანდელი მენტალობით ამ ნაწარმოებს რომ კითხულობ, რა თქმა უნდა, აღშფოთდები და გამოთქვას მოსწავლემ ეს აღშფოთება), ნუ ეტყვი – ეს რა სისულელე დაწერე, შენ არ იცი იმ კულტურის კატეგორიებიო. თუ ასე მოიქცევი, მას შეეშინდება და აღარასოდეს გამოთქვამს საკუთარ აზრს და გადავა რეჟიმში – რა მოსწონს მასწავლებელს, რითი ასიამოვნოს. ამიტომ, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია მასწავლებელმა აჩვენოს, რომ ცოდნა რაღაც საიდუმლო, პასუხისმგებლობების წინაშე დგომაა და არა მხოლოდ მკაფიოდ განსაზღვრული პასუხები. მოსწავლე მუდმივად უნდა გრძნობდეს, რომ ნება აქვს თქვას ნებისმიერი რამ, ოღონდ პასუხისმგებლობით და არა ფუქსავატობის ფარგლებში.

სწავლა სერიოზული პროცესია. ვფიქრობ, სკოლაში ყალიბდება გარკვეული კუნთი – მთავარი არ არის მხოლოდ ის, შენ რა იცი, არამედ – როგორ იცი. სწავლა თუ მხოლოდ იმით შემოიფარგლა, რომ გამოცდა წარმატებით ჩააბარო, ეს მოკლავს სწავლას. ხანდახან ხუთოსანი მოსწავლეები, ვინც სკოლაში წარმატებულები არიან, თანამედროვე დემოკრატიულ სამყაროში, დემოკრატიულ ვითარებაში – თავისუფალ ბაზარზე სრულიად უუნაროები ხდებიან, რადგან მხოლოდ იმას არიან მიჩვეულები, რომ კონკრეტული გამოცდისთვის მოემზადონ. სამწუხაროდ, შემდგომ ცხოვრებაში აღმოჩნდება, რომ ყველაფერი დაუდგენელია და ხშირად ხუთოსნები იქ სრულიად წარუმატებლები ხდებიან. ჩემს სკოლაში, სადაც ვასწალი, ამის პრობლემა არაა, კერძო სკოლაა და გაკვეთილზე 14 ბავშვი ზის. წარმოუდგენლად მიმაჩნია, როგორ უნდა გაატარო რეალურად ინტერაქტიული მეთოდი კლასში, სადაც 30 ბავშვია. როგორ უნდა შეძლო შემოქმედებითი სწავლება და ასეთი კუნთის ჩამოყალიბება ბევრ ბავშვთან, სიმართლე გითხრათ, არ ვიცი. ჯერ ერთი, მოსწავლეები შესაფასებელი გყავს, როცა 14 ბავშვი დისკუსირებს, მაშინვე ვხვდები, ვინ მოამზადა მასალა და ვინ არა. იქვე ვაფასებ ყველას, შემიძლია ნიშნებიც დავწერო ისე, რომ არც კი გავიძახო, მაგრამ 30 ბავშვთან ასე ვერ მოიქცევი, ნიშნებს ვერ დაწერ, თუ კონკრეტულად არ გამოჭკითხე. არ ვიცი, როგორ უნდა შევამციროთ კლასებში ბავშვების რაოდენობა, რადგანაც კლასის შემცირება დიდ რესურსებთანაა დაკავშირებული. ან მასწავლებლები როგორ გავზარდოთ, მზად არიან ამისთვის?

ვამბობთ, რომ გვინდა დემოკრატიული საზოგადოება, გვინდა ადამიანები, ვისაც სწავლის სწავლების უნარი აქვს, არა მხოლოდ რაღაცის ხისტად მცოდნე ადამიანები, რომლებიც იმის იქით ვეღარ გადაუხვევენ. ერთმა პროფესორმა თქვა, მითხრეს, რუსთაველის კურსი ერთ სემესტრამდე შეამცირეო, მე არ შემიძლია რუსთაველის სწავლება, თუ ორი წელი არ მექნაო; მესმის, რომ გინდა, ორი წელი ასწავლო, მაგრამ არ არის მოთხოვნა ორ წელზე, სამწუხაროდ, არ აიღებენ შენს კურსს. ამიტომ, რაღაცნაირად, შენ უნდა მიესადაგო მათ ინტერესებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, არ აგირჩევენ.

როგორ მოვამზადოთ მასწავლებლები? მასწავლებელი თუ შთაგონებული არ არის და თავისი საგანი არ უყვარს, თუ პატარა ხელფასი აქვს, არაფერი გამოვა. არადა, პატარა ხელფასზე შთაგონებული მასწავლებელი არ მიდის სკოლაში. რა უნდა გავაკეთოთ, რომ ასეთი ინერტული მასწავლებლების ნაცვლად თავისი საგნის მოყვარული მასწავლებლები გვყავდეს? მე უფრო პესიმისტური სურათი მაქვს, ვიცი, რომ ის, რაც ჩემს სკოლაში ხდება, ძალიან ძვირადღირებულია, დაახლოებით ისეთი ორანჟერეაა, სასათბურე პირობები რომ შექმნა, მაგრამ როგორ უნდა გააკეთო ამის განფენა, ეს არ ვიცი. რთული საკითხია. თვითონ სკოლის მოსწავლეებიც კი ფიქრობენ იმაზე, უნდა იარსებოს თუ არა ამ ამერიკულმა ელიტურმა აკადემიამ, თუკი ის არ განეფინება საზოგადოებას. იქნებ სჯობს, რომ რესურსები სკოლების გაუმჯობესებაზე დაიხარჯოს, არ იყოს ასეთი ელიტიზმი; სხვები ამბობენ, რომ უმჯობესია იყოს განათლებული ელიტა, რომელმაც უნდა წაიყვანოს საზოგადოება.

ერთ-ერთი გამოსავალი, რა თქმა უნდა, მასწავლებლის ხელფასების ზრდაა, უფრო მოტივირებული უნდა იყვნენ, მაგრამ არა ისე, რომ მხოლოდ ფულისთვის წავიდნენ სკოლებში. მნიშვნელოვანია, ასევე, კლასებში მოსწავლეების რაოდენობის შემცირება და განათლებაში მეტი ფულის დაბანდება. კიდევ ბევრი მაქვს სალაპარაკო, მაგრამ ამჯერად ამით შემოვიფარგლები.

მოამზადა
ლალი ჯელაძემ

პედაგოგთა დასახმარებლად

სოფიო დედალამაზიშვილი

გერმანული ენა

როგორ მივცეთ მოსწავლეებს პრეზენტაციების შემდეგ სწორი უკუკავშირი

მინდა გესაუბროთ ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითზე მოსწავლეთა პრეზენტაციებთან დაკავშირებით. კერძოდ, როგორ უნდა მივცეთ მათ უკუკავშირი, რადგან უკუკავშირი ძალიან მნიშვნელოვანია. ის არის პრეზენტირების ტექნიკის გაუმჯობესების გზა და შენიშვნები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ეხება არა პიროვნებას, არამედ წარმოდგენილ საკითხს. უკუკავშირის ხარისხი დამოკიდებულია შემდეგ პუნქტებზე:

1. წესებზე, რომლის მიხედვითაც უკუკავშირს ვიძლევით;
2. კრიტერიუმებზე, რომლებიც მას საფუძვლად უდევს;
3. უკუკავშირის მიცემის ატმოსფეროზე, სტილზე.

არც ერთი პრეზენტაცია არ უნდა იყოს უკუკავშირის გარეშე. ეს ძალიან მნიშვნელოვანი პრინციპია. ამის გარეშე პრეზენტაციები, უნარების განვითარებას არ უწყობს ხელს. შეიძლება ითქვას, რომ შედეგების გასაუმჯობესებლად პრეზენტაციის განხილვა უფრო მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს, ვიდრე თვითონ პრეზენტაცია.

უკუკავშირი მზადდება პრეზენტაციის დაწყებამდე. ამ დროს მასწავლებელი ამზადებს სხვადასხვა დავალებას. მნიშვნელოვანი ასპექტები საკითხიდან გამომდინარე განისაზღვრება. უკუკავშირის ფორმა შესაძლებელია სხვადასხვანაირი იყოს. ერთ-ერთი მარტივი საშუალებაა სამი ძირითადი კითხვის მომზადება:

1. რა იყო კარგი ამ პრეზენტაციაში?
2. რა ინფორმაციაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება?
3. რა შეიძლება გავაუმჯობესოთ?

უკუკავშირის მიცემა შესაძლებელია, მაგალითად, ე. წ. „ჯაჭვური რეაქციის“ ფორმით. სახელდება ერთი რიცხვი: „მოვისმინოთ შვიდი გამონათქვამი პირველ კითხვასთან დაკავშირებით“. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პრეზენტაციის დაწყებამდე ერთ მოსწავლეს ან ერთ გუნდს დავავალოთ, გაუძღვეს უკუკავშირის მიცემას.

მოსწავლეთა პრეზენტაციებს არ ვაკრიტიკებთ, მხოლოდ გაუმჯობესების გზებს ვთავაზობთ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია პოზიტიური უკუკავშირის მიცემის კულტურის დამკვიდრებისათვის. ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ, პირველ რიგში, დასახელდეს პრეზენტაციის მხოლოდ ძლიერი მხარეები. ამგვარად კლასში დადებითი ატმოსფერო იქმნება და პრეზენტატორებს უქრებათ შიში და თავდაჯერებულობა ემატებათ.

ძირითადი მოთხოვნები მოსწავლეთა პრეზენტაციების დროს

ა) საგანთან მიმართებაში:

1) ნათლად ფორმულირებული თემა;
2) სტრუქტურის ქონა;
3) შესაბამისი ვიზუალური მასალის ქონა;
4) ინფორმაციის შესაბამისი რაოდენობა;
5) შინაარსობრივი სისწორე.

ბ) პიროვნებასთან მიმართებაში:

6) კარგი მომზადება;
7) თავისუფლად საუბარი და არა კითხვა;
8) აზრის შესაბამისად გამოხატვის უნარი;
9) პუბლიკასთან მხედველობითი კონტაქტის ქონა;
10) სიტუაციის შესაბამისი გამოსვლა.

თუ პრეზენტაციის შემდეგ პრობლემური საკითხები არ დასახელდა, მაშინ მოსწავლეებს არ ექნებათ უნარების გაუმჯობესების შანსი. მთავარია, კრიტიკა სწორად იყოს ფორმულირებული. მაგალითად, არა: „პრეზენტაცია ძალიან მოკლე იყო“, არამედ: „თქვენ უფრო მეტი ინფორმაცია უნდა მოგეძიებინათ“. უკუკავშირი მხოლოდ მაშინაა სასარგებლო თუ კონკრეტული საკითხები სახელდება და არა ზოგადი. არც ისაა ნაყოფიერი, მხოლოდ იმაზე ვილაპარაკოთ, რა არ მოგვეწონა. აუცილებლად უნდა იყოს შეთავაზებული გაუმჯობესების გზები.

სპონტანური უკუკავშირის მიცემისას, მოსწავლეები, ძირითადად, პრეზენტაციის ფორმაზე აკეთებენ აქცენტს, შინაარსობრივი ასპექტები ყურადღების მიღმა რჩება. ამის თავიდან ასარიდებლად უნდა ფიგურირებდეს, მაგალითად, ასეთი ტიპის შეკითხვები: „რომელი ინფორმაცია დამამახსოვრდება მე, დიდი ხნის მანძილზე?“ აქაც მნიშვნელოვანია კონკრეტული საკითხების დასახელება. პრეზენტაციების შინაარსობრივი მხარის კარგად გააზრებას ხელს უწყობს მოკლე ჩანიშვნების გაკეთება. როდესაც მოსწავლეები დაასრულებენ აზრის გამოთქმას, მასწავლებელი იძლევა უკუკავშირს. მოსწავლეებმა ისიც უნდა იცოდნენ, რომ მოსმენის კულტურას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება პრეზენტაციის დროს.

ახლა შემოგთავაზებთ სამუშაო ფურცელს, რის მიხედვითაც მოსწავლეებს ჩანიშვნების გაკეთება შეუძლიათ. საბოლოოდ შესაძლებელია, დავალებად მივცეთ მოსმენილი პრეზენტაციის შინაარსის გადმოცემა, ჩანიშნული ინფორმაციის საფუძველზე.

Protokollblatt		
Presäntation 1 Thema:		Präsentierende:
Protokollnotizen:		
Anmerkungen für das Feedback	Form der Präsentation +3 +2 +1 0	Inhalt +3 +2 +1 0

თუ მოსწავლეებმა პრეზენტაციის განხილვის და შეფასების ტექნიკა იციან, შესაძლებელია ქულებით შეფასების სისტემაც გამოვიყენოთ. შემოგთავაზებთ ერთ-ერთ ვარიანტს, რომელიც, რა თქმა უნდა, თქვენი საჭიროებების მიხედვით, შესაძლებელია კლასში იქნეს განხილული და მოდიფიცირებული. ნებისმიერი შეფასების სისტემის გამოყენებისას მოსწავლეებისთვის ცნობილი უნდა იყოს შეფასების კრიტერიუმები.

Beurteilungsbogen für Präsentation										
	maximale Punktzahl	**erreichte Punktzahl**	**3vortragende Teams**							
A Die Sache										
1. Wurde zu Beginn der Präsentation das Thema deutlich benannt und erklärt?	0-2									
2 . War die Präsentation anschaulich und gut gegliedert?	0-4									
3. Wie gut verständlich und lehrreich war sie für die Zuhörerinnen und Zuhörer?	0-4									
4. Erhielt sie eine angemessene Menge an Informationen?	0-3									
5. Gab es am Ende eine Zusammenfassung und einen gut nachvollziebaren Abschluss?	0-2									
	15 Punkte									
B Die Personen										
6. Haben die Präsentirenden die Aufmerksamkeit der Klasse abgewartet und in Ruhe eröffnet?	0-2									
7. Wurde Blickkontakt zum Publikum hergestellt und gehalten?	0-1									
8. Wurde klar, laut und deutlich, frei und in angemessenem Tempo gesprochen?	0-2									
9. War erkennbar, dass die Vorgetragenden sich gut vorbereitet haben?	0-3									
10. War das äußere Erscheinungsbild der Vorgetragenden der Situation angemessen (Art des Auftreten, Körperhaltung, Kleidung)?	0-2									
	10 Punkte									
C Sonderpunkte										
11. Können ein oder mehrere Zusatzpunkte für besondere Einfälle und Leistungen vergeben werden?	0-2									
25-23=10	**22-20= 9**	**19-15=8**	**14-12=7**	**11-5=6**	**4-0= 5**					

გამოყენებული ლიტერატურა:
ვოლფგანგ მატესი, მეთოდები გაკვეთილისათვის. გამომცემლობა „Schöningh“

ინფორმაცია

თანამედროვე სასტუმრო სტუდენტებისთვის

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს გაეცნო. რამდენიმე მნიშვნელოვან პროექტს შორისაა სტუდენტური საერთო საცხოვრებელი, რომლის რეაბილიტაციაც დასრულდა და, უკვე ახალი სასწავლო წლიდან, ელიან სტუდენტებს. სასტუმრო ევროპულ სტანდარტებს სრულად აკმაყოფილებს და საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესოა ამ ტიპის სტუდენტურ საცხოვრებლებს შორის.

ზუგდიდის უნივერსიტეტში 1000-მდე სტუდენტი ეუფლება სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამას. სტუდენტთა 40%-ზე მეტი სოციალურად დაუცველი და აფხაზეთიდან დევნილია, პირველ რიგში, სწორედ მათ მოემსახურება უფასოდ თანამედროვე სტანდარტების საერთო საცხოვრებელი. აქ იცხოვრებენ ასევე გაცვლითი პროგრამების ფარგლებში უცხოეთიდან ჩამოსული პროფესორები.

თამარ სანიკიძე: *„დასრულდა სამუშაოები ზუგდიდის უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში. სულ მალე, კორპუსი საზეიმოდ გაიხსნება და სარგებლობას დაიწყებენ სტუდენტები და არა მხოლოდ ისინი, პროფესორ-მასწავლებლებიც. ზოგადად, რაიონებში უნივერსიტეტების სტუდენტური საცხოვრებლების მოწყობას სწორედ ის დანიშნულება აქვს, რომ გრძელვადიანად ჩამოვიდნენ საერთაშორისო დონის პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში დაჰყოფენ აქ და იმუშავებენ უნივერსიტეტებთან ერთად.*

ეს კონკრეტული საერთო საცხოვრებელი იქიდან გამომდინარეც იყო მნიშვნელოვანი, რომ მოსარგებლეები, ძირითადად, ოკუპირებული ტერიტორიიდან ჩამოსული სტუდენტები არიან. ამიტომ მას შესაბამისი დატვირთვაც აქვს. მიხარია, რომ საქართველოში რეგიონულ უნივერსიტეტებს გაუჩნდათ სტუდენტური საერთო საცხოვრებლები, რაც ნამდვილად დაეხმარება მათ საგანმანათლებლო პროცესის სწორად წარმართვაში.“

თეონა ხუფენია, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი: *„განათლების სამინისტროს მხარდაჭერით და სრული დაფინანსებით, ჩვენთან რამდენიმე პროექტი განხორციელდა, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია საერთო საცხოვრებელი, რომელიც უნივერსიტეტის, ასე ვთქვათ, საოცნებო სტრატეგია იყო, განუხორციელებელიც კი. დღეს კი, შემიძლია გითხრათ, რომ ეს უკვე რეალობაა და შეგვიძლია, უპირველეს ყოვლისა, უფასოდ მოვემსახუროთ აფხაზეთიდან დევნილ სტუდენტებს, ასევე სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ახალგაზრდებსაც. საერთო საცხოვრებელი, ამავდროულად, გათვლილია ერასმუსის პროგრამის ფარგლებში მოწვეულ პროფესორებსა და სტუდენტებზე.“*

სახელმძღვანელოები

პრესკონფერენცია სასკოლო სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ სასკოლო სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გამართა და ჟურნალისტებს ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა 2015-2016 სასწავლო წლისათვის „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის“ მიმდინარეობასთან დაკავშირებით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამას“ 2013 წლიდან ახორციელებს. პროგრამის ფარგლებში, სახელმძღვანელოები უსასყიდლოდ გადაეცემა:

• საქართველოს საჯარო სკოლების ყველა მოსწავლეს;

• კერძო სკოლების სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების წევრ მოსწავლეებს;

• 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების შვილებს;

• იმ კერძო სკოლების მოსწავლეებს, რომლებიც ამ სკოლების პრივატიზებამდე სწავლობდნენ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში.

2015-2016 სასწავლო წლისათვის მოსწავლეებს, ისევე როგორც შარშან, გადაეცემათ სახელმძღვანელოების პაკეტები, რომელიც დაკომპლექტებული იქნება მაღალი ქულებით შეფასებული წიგნებით. ძველი და ახალი წიგნებით კომბინირებულ პაკეტებს მიიღებენ პირველკლასელებიც. როგორც წინა წლებში, ყველა პირველკლასელი პირად პორტატულ კომპიუტერსაც მიიღებს საჩუქრად.

ამ ეტაპზე, დასრულებულია უკვე ჩაბარებული სახელმძღვანელოების ინვენტარიზაცია და მათი ძირითადი ნაწილი ვარგისიანია. ეს ფაქტი რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა – 2013-2014 წლებში, გასულ წლებთან შედარებით, გაუმჯობესდა ქაღალდისა და საღებავის უვნებლობის ხარისხი, ასევე პირველი კლასის ყველა სახელმძღვანელო დაბეჭდილია თანამედროვე სპეციალურ საბეჭდ ქაღალდზე, რომელიც სიმსუბუქითა და გამძლეობით გამოირჩევა. შესაბამისად, მოსწავლისთვის ბევრად იოლია მისი მოხმარება და ნაკლებია ცვეთა. აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვნად ამაღლდა მოსწავლეებში სახელმძღვანელოების მოხმარების კულტურა, იშვიათად ფიქსირდება წიგნების მიმართ უდიერი მოპყრობის ფაქტები. შედეგად, წელს წიგნების დიდი უმრავლესობა მაღალი ქულებით შეფასდა.

ხარისხი წელსაც შენარჩუნდება და ყველა ახალი სახელმძღვანელო, რომელიც წელს გამოიცემა, ასევე იქნება მაღალპოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდილი. მიმდინარე წელს, დასაბეჭდი და შესასყიდი სახელმძღვანელოების ღირებულება, დაახლოებით, ხუთი მილიონ ნახევარია.

პრესკონფერენციაზე მისულ ჟურნალისტებს საშუალება ჰქონდათ, დაეთვალიერებინათ ინვენტარიზებული წიგნები და თავად შეეფასებინათ მათი ვარგისიანობს.

თამარ სანიკიძე: *„ზაფხული ჩვენთვის ყოველთვის იმაზე უფრო ცხელია, ვიდრე ზოგადად არის. იმიტომ რომ, ზაფხულში ჩვენ ახალი აკადემიური წლისათვის ვემზადებით. ნომერ პირველი პრიორიტეტი, რა თქმა უნდა, ის სახელმწიფო პროგრამებია, რომელსაც სახელმწიფო სკოლებს, მოსწავლეებს და, ზოგადად, საზოგადოებას სთავაზობს.*

დღეს ორიოდე სიტყვით მინდა გაგაცნოთ, რა მდგომარეობაა სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამაში. სანიმუშოდ მოვიტანეთ ყველა კლასის სახელმძღვანელო, ე.წ. სახელმძღვანელოების შეკვრები, რომლებიც, ამ ეტაპზე, უკვე გადარჩეულია, როგორც ვარგისიანი. თქვენ ხედავთ, რომ წიგნები ძალიან კარგ მდგომარეობაშია. ეს, ერთი მხრივ, განაპირობა იმან, რომ 2013 წელს შეიცვალა წიგნის სპეციფიკაცია, უფრო ხარისხიანი ფურცლის გამოყენებით, აკინძვის მეთოდით და ა.შ. მეორე მხრივ, არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ შარშანდელთან შედარებით ბევრადაა გაუმჯობესებული მოსწავლების მხრიდან წიგნებთან მოპყრობა. ვფიქრობ, ეს ძალიან პოზიტიური ტენდენციაა – ბავშვები სწავლობენ სახელმძღვანელოებით მუშაობის და, ზოგადად წიგნთან ურთიერთობის კულტურას.

რაც შეეხება წელს შესასყიდ სახელმძღვანელოებს, რადგან ქსელში არსებობს ვარგისიანი წიგნების სოლიდური მარაგი, წელს შედარებით ნაკლები სახელმძღვანელოები და რვეულები გვექნება დასაბეჭდი და შესასყიდი გამომცემლობებიდან. თქვენ იცით, რომ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, რომლითაც სარგებლობს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, თვითონ ბეჭდავს, ხოლო არაგრიფირებული სახელმძღვანელოების (რომლებიც ასევე სავალდებულო ლიტერატურას წარმოადგენს) შეძენა პირდაპირ გამომცემლობებიდან ხდება. სახელმძღვანელოების ღირებულება, ორივე წყაროდან – შეძენილი თუ დაბეჭდილი, ჯამში, წელს, დაახლოებით, 6 მილიონ ლარამდე იქნება. აქედან, დაახლოებით, 4 მილიონი ლარის – პირდაპირ შესყიდული გამომცემლობებიდან, დარჩენილი თანხა ბეჭდვას მოხმარდება. ამჟამად ბეჭდვისთვის გამოცხადებულია ტენდერი, რომლის დასრულების შემდეგ გვეცოდინება, ვინ იქნება მომწოდებელი.

ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო წელს ბაზრის კვლევა. 2013-14 წელს, როდესაც ბაზრის კვლევა ჩავატარეთ, რეალურად, მომწოდებელი, შეკვეთის მოცულობიდან გამომდინარე, საქართველოში, ძირითადად, იყო ერთი პრეტენდენტი – გაერთიანებული ქართული სტამბა. შესაბამისად, 2013-14 წლებში, შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის გზით განხორციელდა. წელს, ბაზრის მოკვლევის შედეგად, სხვა მოთამაშეებიც გამოვლინდნენ. ეს, რა თქმა უნდა, უმეტეს წილად, იქიდან გამომდინარეობს, რომ შეკვეთის მოცულობა უფრო მცირეა და გამოჩნდნენ ისეთი სტამბები, რომლებსაც ამ ზომის შეკვეთის შესრულება შეუძლიათ. ამიტომ, გადავწყვიტეთ, შემჭიდროვებულ ვადებში, მაგრამ მაინც ჩაგვეტარებინა ტენდერი. სამშაბათს გვეცოდინება, ვინ დაბეჭდავს წელს სახელმძღვანელოებს.

ორიოდე სიტყვით თვითონ სახელმძღვანელოების მდგომარეობაზეც ვისაუბროთ. წელს ჩატარდა ფიზიკური ინვენტარიზაცია. 2013-14 წლის შეკვეთები გამომდინარეობდა, ძირითადად, სკოლიდან მოწოდებული ინფორმაციის გათვალისწინებით, რომელიც იტვირთებოდა ელექტრონულ სისტემაში, ანგარიშდებოდა ცვეთა, წელიწადში რამდენჯერმე, იმისათვის, რომ დაგვედგინა შესასყიდი სახელმძღვანელოების რაოდენობა. წელს,

რადგან მივედით იმ ეტაპზე, რომ ახალი გრიფირებაც უნდა გამოცხადდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ I-VI კლასების სახელმძღვანელოები, მომავალ წელს, იქნება აბსოლუტურად ახალი, ჩავატარეთ ფიზიკური ინვენტარიზაცია. გადაირჩა სახელმძღვანელოები და მათი ერთ სივრცეში კონსოლიდაცია მოხდა, სადაც ამ ეტაპზეც მიმდინარეობს გადარჩევა. გადარჩეული სახელმძღვანელოები, რომლებიც შემდგომი წლისათვის ვარგისია, დღეს თქვენ წინაშეა და შეგიძლიათ ნახოთ. ეს არის სახელმძღვანელოები, რომლებსაც არ აქვს დაზიანებული ყდა, არ არის გაკეთებული შიგნით ჩანაწერები, არ არის შესრულებული ფურცლის ამოჭრასთან ან მარკირებასთან დაკავშირებული სამუშაოები. ბოლომდე არ იყო ამოწურული მობილობისთვის გათვალისწინებული 10%-იანი ნაშთი, ამიტომ საწყობში ახალი სახელმძღვანელოების გარკვეული მარაგიც იყო.

თქვენ ხედავთ თითოეული კლასისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოების შეკვრებს, რომლებსაც წელს, ისევე როგორც 2013-14 წელს, მიიღებს მოსწავლეთა ის კონტინგენტი, რომელიც წესით არის განსაზღვრული. შესაბამისად, არც ერთი მოსწავლე სახელმძღვანელოს გარეშე არ დარჩება.

ამ პროექტს, დღემდე, რატომღაც ჰყავს ოპონენტები, რომლებიც არ აღიარებენ მის საჭიროებას. არადა, შედეგები აბსოლუტურად განსხვავებულია და ამ შედეგებს ჩვენ დადებითად ვაფასებთ. რაც შეეხება ქამრების შემოჭერის პოლიტიკას, უკვე გავამზადეთ ინფორმაცია და მივაწოდეთ დაინტერესებულ მედიასაშუალებებს. იქ აღწერილია, რომელი საბიუჯეტო კოდებიდან მოხდა დანაზოგი – სახელმძღვანელოების კოდიდან ჩვენ შევამცირეთ კოდის ღირებულება, მაგრამ ეს ახალი გრიფირების ფარგლებში საჭირო ასიგნებებიდან მოხდა და არა დასაბეჭდი წიგნების რაოდენობიდან. დასაბეჭდი წიგნების რაოდენობის საჭიროება რაც განისაზღვრა, ის წელს სრულად იქნება დაბეჭდილიც და შესყიდულიც. ამიტომ ქამრების შემოჭერის პოლიტიკა, მინდა დაგარწმუნოთ, რომ ამ შემთხვევაში არანაირად არ მუშაობს“.





ინფორმაცია

სასწავლო წლის დასასრული

საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის არაფორმალური სწავლების რუსთავის სასწავლო ცენტრში, სასწავლო წლის დასასრულს, ორგანიზებულად და საინტერესოდ ჩატარდა სტუდენტთა მე-12 სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში გახსნილი პროფესიული განათლების ცენტრების სტუდენტები მონაწილეობდნენ. საუკეთესოდ დამუშავებული თემებით – ფარმაციაში, საბანკო საქმეში, დაცვა-პატრულირებაში, საბავშვო ბაგა-ბაღის პედაგოგიკა-მეთოდიკაში და ყველა სხვა საგანში, რომელიც კი ისწავლება ამ ახალი ტიპის სასწავლებელში, მსმენელთა ფართო აუდიტორიის წინაშე 50-მდე სტუდენტი წარდგა. მაღალ დონეზე დაიცვეს თავიანთი ნაშრომები ახალციხის, ლაგოდეხის, გურჯაანის, ოზურგეთის, რუსთავის, თბილისის, ჭიათურის, თერჯოლის, ქუთაისის, ხაშურის, საგარეჯოს, თელავის ცენტრების სტუდენტებმა მათთვის სასურველ საგნებში.

განსაკუთრებით საინტერესო ნამუშევრები წარმოადგინეს: **რატი გელხვიიძემ** (ახალციხე), **ლაშა წერეთელმა** (რუსთავი), **ირმა კოჩალაძემ** (ახალციხე), **ნატალია შუბითიძემ** (ხაშური), **თეონა გვიშიანმა** (თერჯოლა), რის გამოც საკონფერენციო ჟიურის მაღალი შეფასება დაიმსახურეს. კონფერენციის ყველა მონაწილეს ინსტიტუტის რექტორმა, აკადემიკოსმა **გარი ჩაფიძემ** სპეციალური სიგელები გადასცა. აღინიშნა, რომ ტრადიციისამებრ, კონფერენციაში გამარჯვებული და პირველ ადგილზე გასული ერთი სტუდენტი, თავის პედაგოგ-ხელმძღვანელთან ერთად, მონაწილეობას მიიღებს უკრაინის დედაქალაქ კიევში სტუდენტთა მორიგ საერთაშორისო კონფერენციაში და იქ ყოფნის 10 დღით დასამახსოვრებელს გახდის თავის სტუდენტურ ბიოგრაფიას.

მორიგმა სასწავლო-შემოქმედებითმა კონფერენციამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, თუ რა მაღალ დონეზე მუშაობენ სტუდენტებთან სამედიცინო, დაცვა-პატრულირების, ბანკის ოპერატორის, კომპიუტერული ტექნოლოგიების, ბაგა-ბაღის აღმზრდელის ფაკულტეტების პედაგოგები არა მხოლოდ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული თემატიკის შესწავლისთვის, არამედ ფართო აკადემიური, პროფესიული განათლების გაზიარებისათვის.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ესთეტიკური დონე, რაც ასე ამშვენებდა კონფერენციას, შესაფერისი უნიფორმებით და სიმბოლური ნიშნებით გამოსული სტუდენტები სასიამოვნო განწყობას უტოვებდნენ მსმენელს.

კონფერენცია დასრულდა, კონფერენცია გრძელდება... მომავალი სასწავლო წლიდან კვლავ ახალი შემართებით დაიწყებენ მუშაობას, ყველა სასწავლო ცენტრში, პედაგოგებიც და სტუდენტებიც. მიღებული სერტიფიკატებით ისინი უკვე მუშაობენ და კვლავაც წარმატებით იმუშავებენ ქვეყნის სხვადასხვა დარგში, სხვადასხვა ობიექტზე.

აქვე, ამ ღონისძიებაზე გაჟღერდა ერთი საინტერესო სიახლე: ინსტიტუტის რექტორმა, სიახლის მაძიებელმა, შემოქმედმა პედაგოგმა გარი ჩაფიძემ, ქვეყანაში ბოლო პერიოდში მომხდარი ტრაგედიების გამო, გადაწყვეტილება მიიღო, გახსნას ახალი ფაკულტეტი, კერძოდ, სამაშველო-სასწრაფო დახმარების ფაკულტეტი, მოიწვიოს ამ დარგში კვალიფიციური სპეციალისტები და მოამზადოს მაღალკვალიფიციური მაშველი ახალგაზრდები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ სამაშველო-ოპერატიულ ოპერაციებში ადამიანების და მატერიალური ფასეულობების გადასარჩენად.

„ეს იდეა მიკარნახა აჭარაში მომხდარმა ხანძარმა, რომელმაც რუსთაველი ბავშვების სიცოცხლე შეიწირა და თბილისში დატრიალებულმა უბედურებამ, რასაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა. ჩვენს ქვეყანას აუცილებლად სჭირდება ამ დარგის მაღალი დონის, ფსიქოლოგიურად, მორალურად და ფიზიკურად მომზადებული სპეციალისტები.“ – აღნიშნა ბატონმა გარიმ. ამ საქმის გაძღოლისთვის მან ინსტიტუტში მოიწვია **გიორგი კუტალია**, წარმომობით ზუგდიდელი კაცი, რომელსაც დამთავრებული აქვს ხარკოვის სახანძრო-ტექნიკური სასწავლებელი, უკრაინის ეროვნული თავდაცვის აკადემია კიევში, გენერალური შტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემია, ამავე მიმართულებით მოსკოვში – აკადემია; აქვს ხანგრძლივი მუშაობის გამოცდილება უკრაინაში, მოსკოვში, ზუგდიდში, რუსთავში; ეკავა სამხედრო კომისრის, სამხედრო-საოაღმზრდელო ძალებისა და გენერალურ შტაბში – სტრატეგიული დაგეგმარების სპეციალისტის, ასევე სამხედრო პოლიტიკის დაგეგმარების სამმართველოს უფროსის თანამდებობები. აქვს უდიდესი გამოცდილება და განათლება, მაგრამ, სამწუხაროდ, წინა ხლისუფლების დროს გაშვებულ იქნა სამსახურიდან. ამჟამად იგი საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის არაფორმალური სწავლების ზუგდიდის სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელია, ცხოვრობს თბილისში, სამხედრო გენერლის ჩინით. უდიდესი სურვილი აქვს, მოამზადოს მაღალი დონის სპეციალისტები სამაშველო სამსახურისთვის.

ამ დღეებში მან უშუალოდ მიიღო მონაწილეობა სამაშველო ოპერაციებში და კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ ექსტრემალური სიტუაციებისთვის საქართველოს აკადემიურად განსწავლული და ფიზიკურად ძლიერი, კარგად მომზადებული კადრები უნდა ჰყავდეს ევროპის ქვეყნებისა და ამერიკის მსგავსად, რათა მინიმუმამდე დავიდეს ცოცხალი ძალის მსხვერპლი და მატერიალური ზარალი.

სამაშველო-სასწრაფო დახმარების ფაკულტეტზე 2-წლიანი სწავლება იქნება. თეორიული მომზადების გარდა, სასწავლებელი საწვრთნელ ბაზაზეც პრაქტიკულად მოამზადებს ახალგაზრდებს.

დრო საშურია. პრობლემა გადაწყვეტას ითხოვს. იმედია, ამ სიახლესაც წარმატებით გაართმევს თავს ინსტიტუტის რექტორი. ამ დარგში საქართველოს მართლაც სჭირდება მაღალი დონის სპეციალისტები.

ლია მარტაშვილი

თანამედროვე სპორტული დარბაზი

ქუთაისის №7 საჯარო სკოლის 900-მდე მოსწავლე, ახალი სასწავლო წლიდან, თანამედროვე სტანდარტების, რეაბილიტირებულ სპორტულ დარბაზში გააგრძელებს ვარჯიშს. განახლებული სპორტული დარბაზი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ დაათვალიერა და სკოლის მოსწავლეებსა და პედაგოგებს შეხვდა.

სამინისტრო სასკოლო ინფრასტრუქტურის მოწყობას მუდმივ რეჟიმში აგრძელებს. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი აქცენტი სკოლისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროექტების დაფინანსებაზეა გადატანილი (გადახურვა, გათბობის სისტემები, სველი წერტილები), იმავდროულად, ყოველწლიურად, სამინისტრო ათეულობით სკოლაში ახორციელებს დახურული თუ ღია ტიპის სპორტული მოედნების კეთილმოწყობას და ამით ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას უწყობს ხელს.

ქუთაისის №7 საჯარო სკოლაში, ბოლო წლებში, სპორტული დარბაზის გარდა, რეაბილიტაცია ჩაუტარდა საკლასო ოთახებს, მოეწყო სარინელი, წელს სკოლას სამედიცინო ოთახიც შეემატა.

თამარ სანიკიძე: *„სასკოლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს, ახლა სეზონია და ბევრ სკოლაში გვაქვს ჩასატარებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოები. რაც შეეხება იმერეთს, ამ რეგიონში, დაახლოებით, 50-მდე სკოლას ჩაუტარდება წელს რეაბილიტაცია.*

დღეს ქუთაისის მე-7 სკოლაში ვიმყოფებით, სადაც სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია ჩატარდა, ასევე შენობის სხვადასხვა ნაწილში – გარკვეული სამუშაოები, მოეწყო ექიმის კაბინეტი. მისასალმებელია, რომ სკოლას საკუთარი სახსრებიც აქვს ინტენსიური სამუშაოების ჩასატარებლად. სკოლა მზარდია, აქვს მრავალფეროვანი სტანდარტზემოთ მომსახურება, რაც ასევე მისასალმებელია.

ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობას ამ რეჟიმში და ძალიან ბევრი სკოლა უკეთ მომზადებული, რეაბილიტირებული შეხვდება ახალ სასწავლო წელს.“

გრიგოლ გაგოშიძე, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორი: *„ინფრასტრუქტურის სააგენტო, მიმდინარე წლის დასაწყისიდან, მუშაობს პროექტებზე, რომლის ფარგლებშიც წელს 400-ზე მეტი სკოლა გარემონტდება, 187 სკოლაში მოეწყობა სამედიცინო კაბინეტი (შარშან 100 სკოლაში მოეწყო). მუშაობა მომავალშიც გაგრძელდება, უახლოეს 2-3 წელიწადში მთლიანად დაიფარება ყველა სკოლა სამედიცინო კაბინეტებით და აღჭურვილობით. ასევე, მაქსიმალურად ვცდილობთ, სპორტული დარბაზების რეაბილიტაციასა თუ მოწყობას.“*

გიორგი ჭეიშვილი, ქუთაისის №7 საჯარო სკოლის მოსწავლე: *„მე ძალიან გამიხარდა ჩემი სკოლის სპორტული დარბაზის გარემონტება. ძალიან ბევრს ვითამაშებთ ამ ლამაზ დარბაზში.“*

ია მეტონიძე, ქუთაისის №7 საჯარო სკოლის მოსწავლე: *„ძალიან მომეწონა სპორტული დარბაზი. აქ ჩაგვიტარდება სპორტის გაკვეთილები და ბევრს ვიმხიარულებთ. ბავშვები ბედნიერები ვართ და იმედი მაქვს, სხვა სკოლების მოსწავლეებსაც გაუკეთდებათ სპორტული დარბაზები.“*

ინფორმაცია

სასკოლო პრევენციული და არაფორმალური განათლების პროგრამები

თბილისმა უმასპინძლა სემინარს „სასკოლო პრევენციული და არაფორმალური განათლების პროგრამები აშშ-ში“, რომელიც ჩატარდა პროგრამის „ვითამაშოთ კალათბურთი – საქართველო“ ფარგლებში, ახორციელებს ორგანიზაცია PH International, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის განათლებისა და კულტურის საქმეთა ბიუროს (ECA) გაერთიანებული საერთაშორისო სპორტული ინიციატივების განყოფილების ფინანსური მხარდაჭერით. პროგრამა ხელს უწყობს ისეთი ინოვაციური ახალგაზრდული სათემო სპორტული პროექტების განვითარებას, სადაც სპორტული ღონისძიებებისა და თამაშების თანაორგანიზატორებად სკოლის მანდატურები და პოლიციის ოფიცრები გვევლინებიან, რომლებიც, პირადი მაგალითის საფუძველზე, ხელს უწყობენ ახალგაზრდებს შორის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას და ადგილობრივი თემის როლის ზრდას საზოგადოებრივი წესრიგის დამყარების საქმეში.

სემინარი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ **ლია გიგაურმა** გახსნა. მან სკოლებში სამართლებრივი განათლებისა და პრევენციული პროგრამების მნიშვნელობის შესახებ ისაუბრა, ასევე, მოზარდებში დანაშაულის პრევენციის მიზნით, უწყებათაშორისი თანამშრომლობის მნიშვნელობაზე.

შეხვედრას ესწრებოდნენ: სკოლის დირექტორები, მანდატურები, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები. სპეციალურად ამ სემინარის ჩასატარებლად, საქართველოს სტუმრობს აშშ-ს დელეგაცია, სკოლის ფორმალური და არაფორმალური პროგრამების კოორდინატორები და ექსპერტები, რომელთა რიგებშიც არიან: პოლიციის დეპარტამენტების მაღალჩინოსნები, სკოლის რესურსოფიცრები, ალბანისა და ბაფალოს პოლიციის ათლეტური ლიგის ხელმძღვანელები, სკოლის სპორტული გუნდების მწვრთნელები, გოგონათა და ვაჟთა საკალათბურთო გუნდები.

პროგრამის „ვითამაშოთ კალათბურთი – საქართველო“ ძირითადი პარტნიორები არიან: საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახური და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო და საქართველოს კალათბურთის ფედერაცია. პროგრამის განხორციელებას ხელს უწყობს ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი და თბილისის ევროპული ახალგაზრდული ცენტრი.

სემინარის მსვლელობისას გაკეთდა ოთხი თემატური პრეზენტაცია, რომელიც იმ თანამშრომლობას მიეძღვნა, რომელიც აშშ-ში სკოლებს, ადგილობრივ მთავრობას, პოლიციის დეპარტამენტებსა და არასამთავრობო სექტორს შორის არსებობს. ამერიკელმა პოლიციელებმა და პოლიციის ათლეტური ლიგის წარმომადგენლებმა ქართველ კოლეგებს პრევენციული საქმიანობისა და არასრულწლოვნებთან კლასგარეშე ფორმატში ურთიერთობის გამოცდილება გაუზიარეს. კერძოდ, პოლიციის დეპარტამენტის პრევენციული პროგრამების შესახებ, ქალაქ ალბანის მაგალითზე, ისაუბრეს სკოლის რესურსოფიცრის როლისა და ფუნქციების შესახებ, გააცნეს არასამთავრობო ორგანიზაცია „პოლიციის ათლეტური ლიგის“ პროგრამები და სკოლის კლასგარეშე პროგრამები, მათი ორგანიზების ტაქტიკა.

„ვითამაშოთ კალათბურთი – საქართველო“ ხელს შეუწყობს არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენციას.

ინკლუზიური პროფესიული განათლების თემატური ჯგუფის შეხვედრა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინიტროში ინკლუზიური პროფესიული განათლების თემატური ჯგუფის შეხვედრა გაიმართა, სადაც პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის ბარიერების შესახებ ჩატარებული კველევის შედეგების პრეზენტაცია მოეწყო.

მარიკა ზაქარეიშვილი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის „ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში“ ხელმძღვანელი: *„პროფესიული განათლების ეროვნული საბჭოს ფარგლებში, შეიქმნა ინკლუზიური პროფესიული განათლების თემატური ჯგუფი, ძალიან მნიშვნელოვანი სეგმენტი, ვინაიდან ამ საბჭოში წარმოდგენილი არიან ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები, სამთავრობო სტრუქტურები. ჩვენ ერთობლივად ვიმუშავებთ ინკლუზიური პროფესიული განათლების განვითარებისთვის მნიშვნელოვან სტრატეგიულ საკითხებზე, როგორიცაა, მაგალითად: პროფორიენტაცია, განათლების ხელმისაწვდომობა, ფიზიკური გარემოს მოწყობა, განათლების ხარისხი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის და სხვ. ყველა ეს ინიციატივა მომზადდება, როგორც პაკეტი და წარედგინება ეროვნულ საბჭოს იმისათვის, რომ მათ ლობირება გაუწიონ აღნიშნულ საკითხებს მთავრობასთან, სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურებთან. ეს ძალიან კარგი ბერკეტია ჩვენთვის, რომ სხვადასხვა უწყებებმა ერთობლივი პროექტები წამოვიწყოთ, რაც დღეს ძალიან აკლია ჩვენს ქვეყანას. მიხარია, რომ ამ ინიციატივით განათლების სამინისტრო გამოდის და ინკლუზიური პროფესიული განათლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვაკუთხედი იქნება ამ მიმართულებით.*

პირველი საკითხი, რომელიც დღევანდელ შეხვედრაზე განვიხილეთ, იყო პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის კვლევა და ბარიერები. ჩვენ აყვანილი გვყავდნენ ექსპერტ-მკვლევრები, რომლებმაც სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფებთან იმუშავეს. მოწყვლად ჯგუფებში, ამ შემთხვევაში, მოიაზრებოდნენ: ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, შეზღუდული შესაძლებლობის პირები, ლტოლვილები და სხვ. საკითხი საფუძვლიანად შევისწავლეთ – როგორი შეიძლება იყოს, მომავალი სამი წლის განმავლობაში, ჩვენი ქვეყნის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომ პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის ბარიერი მინიმალურამდე იქნეს დაყვანილი.“

ნანა სუმბაძე, საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტის თანადირექტორი: *„კვლევა ეხებოდა პროფესიულ სასწავლებლებში სწავლების ხელმისაწვდომობას მოწყვლადი ჯგუფებისათვის. მოგეხსენებათ, მოწყვლადი ჯგუფების როგორც რაოდენობა, ჩამონათვალი, ასევე რიცხოვნება საკმაოდ მაღალია. საერთო უმუშევრობის ფონზე, მათი მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმეა. ამიტომ მნიშვნელოვანი იყო დადგენა, რა ბარიერები არსებობს მათთვის იმისათვის, რომ მიაღწიონ პროფესიულ განათლებას. მთავრობას უნდა მიეწოდოს კვლევის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები, როგორ იქნეს გადალახული ეს ბარიერები. შესაბამისად, ამის ზეგავლენა მნიშვნელოვანი იქნება ქვეყნის ეკონომიკაზე, იმიტომ რომ, ეს მოწყვლადი ჯგუფები სახელმწიფოს მზრუნველობის ქვეშ არიან და, დასაქმების შემთხვევაში, გამოვლენ სახელმწიფოს მზრუნველობიდან.*

აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა ჯგუფებს სხვადასხვა ბარიერები აქვთ, მაგრამ არსებობს საერთო წინააღმდეგობებიც, ზოგადი ბარიერები და მათი დაძლევის გზები აუცილებლად უნდა გამოიძებნოს.“

ინფორმაცია

გამოჩენილი მეცნიერის საქვეყნო აღიარება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ კიდევ ერთი გამოჩენილი მეცნიერი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ნოდარ ცინცაძე დააჯილდოვა და მას ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი გადასცა.

ნოდარ ცინცაძეს წელს 85 წელი შეუსრულდა. მეცნიერს იუბილე და საქვეყნო აღიარება, მინისტრთან ერთად, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო საბჭოს წევრებმაც მიულოცეს.

აკადემიკოსი ნოდარ ცინცაძე პლაზმის ფიზიკის საყოველთაოდ აღიარებული სამეცნიერო სკოლის შემქმნელია საქართველოში, 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. იგი ყოველთვის მუშაობდა პლაზმის ფიზიკის ყველაზე აქტუალური და რთული პრობლემების მიმართულებით. მის მიერ პირველად იყო შემუშავებული სრულიად ახალი იდეა რელატივისტური პლაზმის ფიზიკაში, რომლითაც საფუძველი ჩაეყარა ძლიერი ლაზერების გამოყენებას, მას ეკუთვნის ახალი ამაჩქარებლის შექმნის იდეაც. მის მიერ შექმნილი ახალი კვანტური კინეტიკური განტოლება კი, ინტენსიურად გამოიყენება ჩვენში და საზღვარგარეთ კვანტური პლაზმის ფიზიკური მოვლენების შესწავლისას.

ნოდარ ცინცაძე, წლების განმავლობაში, მუშაობდა მსოფლიოს სხადასხვა ქვეყანაში, როგორც მიწვეული პროფესორი. 2004-2011 წლებში ბატონი ნოდარი მოღვაწეობდა ცნობილი პაკისტანელი მეცნიერის, ნობელის პრემიის ლაურეატის, აბდუს სალამის კათედრაზე ლაჰორის უნივერსიტეტში (პაკისტანი), იყო პლაზმის ფიზიკის საერთაშორისო სკოლის დირექტორი აბდუს სალამის სახელობის თეორიული ფიზიკის საერთაშორისო ცენტრში (ტრიესტი, იტალია). მის მიერ აღზრდილი მრავალი მკვლევარი და მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი, დღეს, წარმატებით მოღვაწეობს ჩვენი ქვეყნისა თუ უცხოეთის წამყვან სამეცნიერო ცენტრებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.

თამარ სანიკიძემ ბატონ ნოდარს მრავალწლიანი ნაყოფიერი სამეცნიერო საქმიანობისთვის, მთავრობის სახელით, მადლობა გადაუხადა და ხანგრძლივი სიცოცხლე და წარმატებები უსურვა. *„დღეს გვქონდა პატივი, დაგვეჯილდოვებინა ბატონი ნოდარ ცინცაძე, მართლაც გამოჩენილი მეცნიერი პლაზმის ფიზიკის დარგში. მადლობა გადავუხადეთ მას იმ მოღვაწეობისთვის, რომელსაც წლების განმავლობაში ეწეობა. იგი საერთაშორისო დონეზე ცნობილი მეცნიერია და, რა თქმა უნდა, საამაყოა, რომ საქართველოში გვყავს ასეთი ღირსეული საზოგადო მოღვაწე. ამიტომ, დიდი სიამოვნებით ვუშუამდგომლეთ პრეზიდენტთან და მან ბატონი ნოდარი ბრწყინვალების ორდენით დააჯილდოვა.“*

ნოდარ ცინცაძე: *„ცხადია, კმაყოფილი ვარ დღევანდელი დღით. ვფიქრობ, დამსახურებულად მივიღე ეს ჯილდო. უამრავი უცხოელი მეცნიერი აღვზარდე, ასევე ქართველი ფიზიკოსები – აკადემიკოსები, ძალიან ბევრი პროფესორი და ა.შ. საქართველოში დავნერგე პლაზმის ფიზიკის მიმართულება. ამიტომ მიმაჩნია, რომ დღეს ჩემი შრომა დაფასდა. ქალბატონმა თამარმა ვრცლად ისაუბრა და გაოცებული დავრჩი, არ მეგონა, ჩემ შესახებ ამდენი რამ თუ იცოდა.“*

შეხვედრა სომხეთში ფრანგული უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **გიორგი შარვაშიძე** სომხეთში ფრანგული უნივერსიტეტის წარმომადგენლობას შეხვდა. შეხვედრაზე, რომელიც ტემპუსის პროექტის ფარგლებში გაიმართა, განიხილეს „ტრანსნაციონალური განათლების ხარისხისა და აღიარების ხელშეწყობა სომხეთსა და საქართველოში“.

შეხვედრის მიზანი იყო პროექტის საქმიანობის გაცნობა და დაგეგმილი ნაბიჯების განხილვა. მხარეებმა, პროექტის ფარგლებში, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მონაწილეობის საკითხსა და როლის შესახებ ისაუბრეს.

პროექტის პარტნიორები არიან საქართველოს და სომხეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, დიდი ბრიტანეთის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო (QAA), ხარისხის უზრუნველყოფის განვითარების ეროვნული ფონდი (EFMD), სომხეთის განათლების ხარისხის ცენტრი (ANQA) და იუნესკოს განათლების დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტი (საფრანგეთი).

„სპექტრის“ სტუდენტებს სერტიფიკატები გადაეცა

საზოგადოებრივ კოლეჯში „სპექტრი“ პროფესიულ სტუდენტთა დაჯილდოება გაიმართა. თურქული ჰოლდინგის „Turan Borfit“ წარმომადგენლებმა პოლიეთილენის შედუღების ტრენინგების მონაწილე სტუდენტებს სერტიფიკატები გადასცეს. გარდა ამისა, თურქულმა ჰოლდინგმა სამომავლო ტრენინგების თარიღი და თემატიკა გამოაცხადა.

ღონისძიების ფარგლებში, საფუძველი ჩაეყარა ახალი არასამთავრობო ორგანიზაციის, თანამედროვე ტექნოლოგიების და განახლებადი ენერგორესურსების კვლევით-ტექნიკური ცენტრის „აზია ენერჯი“ დაფუძნებას, რომელიც სამეცნიერო ჟურნალის გამოშვებას და შემეცნებითი პროექტების განხორციელებას უზრუნველყოფს, წყლის, გაზის, მზის სისტემებისა და ახალი ენერგოეფექტური ტექნოლოგიებით მშენებლობის საკითხში, ასევე, ISO სტანდარტების მიხედვით, ხარისხიანი მენეჯმენტის და საქმიანობის დამკვიდრებას.

ქეთევან ნატრიაშვილი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე: *„კოლეჯი „სპექტრი“, სასწავლო პროცესში მაღალი ტექნოლოგიების შემოტანის დანერგვის მიზნით, აგრძელებს კერძო სექტორთან თანამშრომლობას. კოლეჯის მაღალკვალიფიციური კადრები, კურსდამთავრებულები ჩართულები არიან სტიქიით გამოწვეული შედეგების სალიკვიდაციო პროცესებშიც. აქ არსებული ტექნოლოგიების გამოყენება აღდგენით სამუშაოებში შეიძლება და კოლეჯი ამ კუთხით გააგრძელებს ჩართულობას“.*

მათე ტაკიძე, კოლეჯის „სპექტრი“ დირექტორი: *„დღეს საერთაშორისო ტრენინგების მონაწილეები ID ბარათებით დავაჯილდოვეთ და სერტიფიკატები გადავეცით. ჩვენ ტრენინგები უცხოელ პარტნიორებთან ერთად ჩავატარეთ – კომბინირებული იყო როგორც ქართული, ისე უცხოური მხარე. დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მიმართულებების განხილვა, რომელიც მიწისქვეშა კომუნიკაციების კვლევა-ძიებისთვის საჭირო თანამედროვე ტექნოლოგიებს ეხება. ამ მიმართულების სპეციალობებში გადამზადებული ადამიანები ქალაქის მერიამ და ნებისმიერმა კომპანიამ ისეთი პრობლემების გადასაწყვეტად შეიძლება გამოიყენოს, როგორიც დღეს თბილისს აქვს. ძალიან მნიშვნელოვანია პოლიეთილენისა და მიწისქვეშა კომუნიკაციებში არსებული ყველა მიმართულების მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება. ასეთი ტიპის საერთაშორისო ტრენინგები და ID ბარათების გადაცემა მომავალშიც გაგრძელდება. მინდა ისიც გითხრათ, რომ ეს სიახლეა განათლების სისტემაში – ონლაინ რეჟიმში, ანუ დისტანციური სწავლება პროფესიული განათლების სისტემაში პირველად განხორციელდა. ჩვენთან დამონტაჟებულია, კომპანია „ევრომასტერისა“ და „ჯეოტურანის“ მიერ, თანამედროვე ლაბორატორია, სადაც საშუალება გვაქვს, ონლაინ რეჟიმში, უცხოეთიდან მივიღოთ სალექციო საათები და ჩვენმა სტუდენტებმა ცნობილი ექსპერტების თეორიული ლექციები მოისმინონ, ხოლო საწარმოო პრაქტიკა ადგილზევე გაიარონ. მინდა წარმატება ვუსურვო ყველას, ვინც დღეს ID ბარათს მიიღებს.“*

პაატა რუსაძე, „ჯეოტურანის“ ხელმძღვანელი: *„ორი წელია, რაც კოლეჯთან ვთანამშრომლობთ და ამ ხნის განმავლობაში სტუდენტებს საწარმოო პრაქტიკას ვუტარებთ. ვცდილობთ, ისეთი მოტივირებული ახალგაზრდები ავიყვანოთ, რომლებსაც შემდეგ ჩვენივე კომპანიაში მუშაობის სურვილი ექნებათ. ამ ორი წლის განმავლობაში, დაახლოებით, 10 ახალგაზრდა დავასაქმეთ. კურსდამთავრებულთა დასაქმებას მომავალშიც შევუწყობთ ხელს. ჩვენი ინტერესიც, თავისთავად, კადრების მომზადებაა, რადგან კვალიფიციური კადრების გამოზრდის გარეშე კომპანიის განვითარება ვერ მოხდება.“*

ინფორმაცია

ევროპა ჩემს ობიექტივში

ევროპის კვირეულთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ჩაატარა ვიდეორგოლების კონკურსი „ევროპა ჩემს ობიექტივში“. კონკურსში საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა. გამარჯვებული სკოლები და მოსწავლეები, 30 ივნისს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **თამარ სანიკიძემ** და ევროკავშირის ელჩის მოადგილემ საქართველოში **ბორის იაროშევიჩმა** დააჯილდოვეს.

ასეთი კონკურსების მიზანია მოზარდებმა გაიაზრონ ევროპული ღირებულებების არსი და მისი მნიშვნელობა ქართულ თანამედროვე სივრცეში, გააანალიზონ საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის როლი, ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა და თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში, გამოხატონ საკუთარი ხედვა და დამოკიდებულება ევროპული ფასეულობებისადმი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ 66 ვიდეორგოლი განიხილა, რომელთაგან 10 საუკეთესო შეირჩა.

საკონკურსო პირობების მიხედვით I, II, III ადგილებზე გასული რგოლების ავტორი/ავტორთა ჯგუფი კომპიუტერული ტექნიკისა და აქსესუარების სასაჩუქრე ბარათებით დაჯილდოვდა:

I ადგილი – 600 ლარის ღირებულების კომპიუტერული ტექნიკისა და აქსესუარების სასაჩუქრე ბარათით;

II ადგილი – 500 ლარის ღირებულების კომპიუტერული ტექნიკისა და აქსესუარების სასაჩუქრე ბარათით;

III ადგილი – 400 ლარის ღირებულების კომპიუტერული ტექნიკისა და აქსესუარების სასაჩუქრე ბარათით.

ევროკავშირის წარმომადგენლობა-საქართველომ და ევროკავშირის პროექტმა „ერთად შევეგებოთ ევროპას“, ათ საუკეთესო ვიდეორგოლს შორის, მათი რჩეული გამოავლინეს და სამახსოვრო პრიზი გადასცეს. პრიზის მფლობელი გახდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭარნალის საჯარო სკოლის მოსწავლე **ზაზა თევთიძე**. დანარჩენი 7 ვიდეორგოლის ავტორს/ავტორებს წამახალისებელი სიგელები გადაეცათ.

გამარჯვებულთა შორის იყვნენ მოსწავლეები: ლანჩხუთიდან, ოზურგეთიდან, ხელვაჩაურიდან, ზუგდიდიდან, ქუთაისდან, გორიდან, რუსთავიდან, ქობულეთიდან, ხაშურიდან და თბილისად.

მშობელთა კრება

ყურსასმენებით მუსიკის მოსმენა არც ისე უსაფრთხოა

დღეს ძალიან ხშირად შეხვდებით ფეხით მოსიარულეებს ან ამა თუ იმ სახის ტრანსპორტით მოსარგებლე მგზავრებს, რომლებიც ყურსასმენებით უსმენენ მუსიკას. ერთი შეხედვით, საყვარელი მუსიკის მოსმენა ყურსასმენებით მეტისმეტად მოსახერხებელია და არც გარშემომყოფებს უქმნის დისკომფორტს. გარდა ამისა, ეს მეთოდი ხომ ერთგვარად გარემოში არსებული უსიამოვნო ხმაურისგან თავის დაღწევის კარგი საშუალებაცაა.

პრობლემა ის გახლავთ, რომ მელომანების უმრავლესობა მუსიკას დიდი ხნით და, რაც მთავარია, მეტისმეტად მაღალ ხმაზე უსმენს. აღსანიშნავია, რომ ხმაურის დასაშვები (ბუნებრივი) დონე ადამიანისთვის 30-40 დეციბელის ფარგლებში მერყეობს. ეს ზღურბლი, ხშირ შემთხვევაში, გაზრდილია, განსაკუთრებით დიდი ქალაქების მაცხოვრებლებისთვის, მაგალითად, მეტროში ხმაურის დონე 90-100 დეციბელს აღწევს. ხმაურის ანალოგიური დონე იქმნება თურმე ყურსასმენებით მუსიკის მოსმენისას. ამიტომაც მუდმივად ყურსასმენების გამოყენება არ არის რეკომენდებული. მზარდი დატვირთვა სმენის ორგანოზე მის გადაძაბვას იწვევს, რაც, საბოლოო ჯამში, სმენის დაქვეითებით მთავრდება.

განსაკუთრებით სახიფათოა ყურსასმენებით მუსიკის მოსმენა მეტროში. თურმე ამ დროს, გარეგანი ხმაურის ჩასახშობად, ადამიანი ცდილობს მაქსიმალურად აუწიოს მუსიკის ხმას და, რაც მთავარია, ყურებზე განსაკუთრებით იჭერს ყურსასმენებს. ყოველივე ეს კი ორმაგ დარტყმას აყენებს სმენის აპარატს.

გირჩევთ:

• ნუ მოუსმენთ მუსიკას ყურსასმენებით ერთ საათზე მეტხანს.

• ერთსაათიანი მოსმენის შემდეგ, მინიმუმ, ამდენივე ხანი დაასვენეთ ყურები.

• მაქსიმალურად ერიდეთ ხმაურიან ადგილებში ყურსასმენებით მუსიკის მოსმენას.

• თუ ყურებში შუილს გრძნობთ, გაგიხშირდათ თავის ტკივილი ან სმენა დაგიქვეითდათ, უარი თქვით ყურსასმენების გამოყენებაზე და დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს!

ძილი და ჯანმრთელობა

ბევრი დარდობს, რომ სიცოცხლის მესამედს ძილში ატარებს. ამ კატეგორიას შევახსენებთ, რომ ძილში გატარებული დრო ფუჭად დაკარგული არ არის. ძილი ის აუცილებელი ფიზიოლოგიური პროცესია, რომლის შედეგადაც ორგანიზმი ისვენებს და ძალ-ღონეს იკრებს. ძილი ხელს უწყობს ინფორმაციის გადამუშავებასა და შენახვას, დახარჯული ენერგეტიკული რესურსის აღდგენას, განამტკიცებს იმუნურ სისტემას. ძილის დროს ორგანიზმში მრავალი ჰორმონი და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერება სინთეზდება (წარმოიქმნება). ნეიროფიზიოლოგიური კვლევებით ნაჩვენებია, რომ ღამის ძილის გარეშე ადამიანს 30%-ით უქვეითდება ინფორმაციის აღქმა.

დღეს ყველამ კარგად იცის, რომ სრულფასოვანი ძილი ჯანმრთელობის ერთ-ერთი საფუძველია. სამწუხაროდ, თანამედროვეობის მასშტაბურ პრობლემათა შორის უძილობა და, საზოგადოდ, ძილის დარღვევები ერთ-ერთ წამყვან ადგილს იკავებს. არც არის გასაკვირი – თანამედროვე ცხოვრების აჩქარებული რიტმი, მეტისმეტად სწრაფი ტემპი, ინფორმაციის ულევი ნაკადი, უამრავი გამაღიზიანებელი ფაქტორი ფიტავს ადამიანის ფსიქიკას, ანგრევს ჯანმრთელობას.

ძილის დარღვევას და უძილობას დღეს ბევრი უჩივის. შედეგად მიიღება ძალთა განლევა, დაღლილობის შეგრძნება, მოდუნება, გაფანტულობა, პასიურობა, გაღიზიანებადობა, პესიმიზმი, განგაშის განცდა... უკვე არაერთი გამოკვლევითაა დადასტურებული, რომ თუ ადამიანს დიდი ხნით მოვწყვეტთ ძილს, მას მძიმე ფიზიკური და ფსიქიკური დარღვევები განუვითარდება, მაგალითად, თავის ტკივილი, კუნთების კანკალი, მეხსიერების გაუარესება და მისი ხანმოკლე დაკარგვაც კი, შესაძლოა, ჰალუცინაციებიც. ცნობილია ისიც, რომ მუდმივი გამოუძინებლობა ზრდის გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა რისკს, ხელს უწყობს დეპრესიის, სხვადასხვა ფობიის აღმოცენებას, დასაბამს აძლევს ფსიქოლოგიურ პრობლემებს. ამიტომ სრულფასოვანი ძილი, მასზე შეგნებულად ზრუნვა აუცილებელია.

ძილის რეჟიმი ყოველ ჩვენგანს ინდივიდუალური აქვს. მისთვის ოპტიმალური რეჟიმი ადამიანმა თავად უნდა შეიმუშაოს და, რაც მთავარია, მკაცრად დაიცვას. ამის შედეგად გაუმჯობესდება ფიზიკური შეგრძნებები, ემოციური მდგომარეობა. ძილის მოწესრიგებული რეჟიმი, საზოგადოდ, სრულფასოვანი ძილი უამრავი დაავადების პროფილაქტიკის საშუალებაა.

გთავაზობთ რამდენიმე რჩევას ჯანსაღი და ეფექტური ძილისათვის

• უმჯობესია, დასაძინებლად 22-23 საათზე გვიან არ დაწვეთ. ამ პერიოდში ორგანიზმი ყველაზე მეტადაა მოდუნებული, ნერვული სისტემა ისვენებს, შესაბამისად, ჩაძინება არ ჭირს. ზრდასრულ ადამიანს 6-8 საათი მაინც უნდა ეძინოს, ბავშვებსა და მოზარდებს – 10 საათი. ძილისთვის საუკეთესო პერიოდია ღამის 11-დან დილის 5 საათამდე. ასეთი რეჟიმით დღისით ძილი არ არის რეკომენდებული, მეტადრე – მზის ჩასვლის შემდეგ. გასაღვიძებლად ყველაზე ოპტიმალური დრო დილის 5-6 საათია. თურმე ამ პერიოდში გაღვიძებული ადამიანი ყველაზე უკეთ გრძნობს თავს, მხნედაა, აქვს როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქიკური კომფორტის განცდა. ამ პერიოდში საუკეთესოდ აითვისება ახალი ინფორმაცია, აზროვნების უნარი და გონებრივი შესაძლებლობები განსაკუთრებით გააქტიურებულია, ამიტომ ყველაფერი სწრაფად და ღრმად, საფუძვლიანად ილექება მეხსიერებაში.

• ძილის წინ არ არის სასურველი გადაძღომა, თუმცა მშიერი კუჭით დაძინებასაც არ გირჩევთ. თუ ძილის წინ კუჭი ისევ გიღიტინებთ და შიმშილის გრძნობას ვერაფრით იოკებთ, დალიეთ თბილი რძე (სასურველია, თაფლით) ან ჩუმამაწონი (იგივე კეფირი). უმჯობესია, დაძინებამდე ორი საათით ადრე ივახშმოთ, თანაც ადვილად ასათვისებელი პროდუქტებით, რათა საჭმლის მომნელებელმა სისტემამ მთელ ორგანიზმთან ერთად დაისვენოს.

• ძილის წინ ნუ მიიღებთ ალკოჰოლს, ნიკოტინსა და კოფეინს. შეგახსენებთ, რომ კოფეინს შეიცავს არა მხოლოდ ყავა, არამედ ჩაი, შოკოლადი, ბევრი ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატი. უმჯობესია, დალიოთ მცენარეთა დამამშვიდებელი ნაყენი (ბარამბოსი, პიტნისა, გვირილისა, კატაბალახასი, შავბალახასი და სხვ.).

• ძილის წინ რეკომენდებულია სუფთა ჰაერზე გასეირნება, თბილი შხაპის ან აბაზანის მიღება. ყოველივე ეს ხელს უწყობს ადვილად ჩაძინებას და ძილის პროცესსაც აწესრიგებს.

• ღამის ტანისამოსი აუცილებლად კომფორტული, მოხერხებული, მსუბუქი და, რაც მთავარია, ნატურალური ქსოვილისა უნდა იყოს.

• საწოლი ოთახი ძილის წინ აუცილებლად უნდა განიავდეს. მაღალი ტემპერატურის პირობებში ძილი არ არის რეკომენდებული. ყველაზე ოპტიმალური ტემპერატურა, რომელიც საძინებელ ოთახში უნდა იყოს, 16-18 გრადუსია.

• მკაცრად იკრძალება ძილის წინ ტელევიზორის (მით უფრო – აღმგზნები გადაცემებისა და ფილმების) ყურება, კომპიუტერთან მუშაობა. ამის ნაცვლად უმჯობესია დამამშვიდებელ მელოდიას მოუსმინოთ.

• ეცადეთ, დაიძინოთ და გაიღვიძოთ ერთსა და იმავე დროს. დღის განმავლობაში იმოძრავეთ, რეგულარულად ივარჯიშეთ. დღის რაციონალური რეჟიმი სრულფასოვანი ძილის საფუძველია.

თინათინ გოცაძე

mkurnali.ge

ფესტივალი რუსთავმა მოიგო

დამთავრდა 2003 წელს დაბადებულთა საქართველოს ფესტივალი მინი-კალათბურთში, რომელშიც 8 გუნდი მონაწილეობდა. ფინალში თამაშის უფლება „რუსთავმა“ და „ოვერტაიმმა“ მოიპოვეს, რომლებმაც დაძაბული, საინტერესო ბრძოლა შესთავაზეს მაყურებელს. ამ დრამატულ პაექრობაში გამარჯვება ქვემოქართლელებმა მოიპოვეს – 48:45, რაშიც დიდი როლი **დათა ჩხეიძემ** და **გიორგი მურღულიამ** შეასრულეს.

რუსთაველები პირველივე ტაიმში დაწინაურდნენ და 6-ქულიანი უპირატესობაც მოიპოვეს, თუმცა **ჯაბა ჯმუხაძემ** და **გიორგი მახნიაშვილმა**, შეხვედრის მიწურულს, „ოვერტაიმი“ დააწინაურეს. შეხვედრა ქულა-ქულაში მიდიოდა, ბოლო წუთზე კი მოვლენები დრამატულად განვითარდა – ჩხეიძემ შეტევა წარმატებით დააგვირგვინა, „ოვერტაიმმა“ კი შეტევა ვერ გამოიყენა და ბურთი კალათს ააცილა. რუსთაველებმა ბურთზე კონტროლი მოიპოვეს და ბოლო წამებამდე წარმატებით ათამაშებდნენ მას. მეტოქე იძულებული გახდა, ტაქტიკური ჯარიმები აეღო, ხოლო როცა ამის ლიმიტიც ამოეწურათ, ჩხეიძემ ჯარიმები ისროლა. მათგან მხოლოდ ერთი ჩაადგო, თუმცა შანსი ვერც „ოვერტაიმმა“ გამოიყენა და გამარჯვება რუსთავის გუნდს დარჩა.

მესამე ადგილისთვის შეხვედრა ასე დაძაბული და დრამატული არ ყოფილა. „ქუთაისმა“ თბილისის „დინამოს“ 40:35 მოუგო და ბრინჯაოს მედალს დაეუფლა. პრიზიორებს მედლები, დიპლომები და საჩუქრები გადაეცათ. პრიზები მეოთხედფინალში გასული გუნდების 2-2 საუკეთესო მოთამაშეებსაც გადაეცათ. ტურნირის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა რუსთაველი დათა ჩხეიძე, რომელმაც ყველაზე მეტი ქულაც მიითვალა.

ფესტივალი ორგანიზებული იყო ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის მიერ საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის მხარდაჭერით.

უფროსებს ტოლი არ დაუდეს

ბაქოში დასრულებული პირველი ევროპული თამაშები ქართველი ტყვიის მსროლელებისთვის შედეგიანი ვერ აღმოჩნდა, მედალი ვერ მოიპოვეს, თუმცა ახალგაზრდებისთვის საკმაოდ წარმატებული გამოდგა – 15 წლის ქუთაისელმა **ლიზი კილაძემ** და 17 წლის **ცოტნე მაჭავარიანმა** დამაჯერებლად იასპარეზეს. თან გავითვალისწინოთ, რომ ისინი უფროსთა შორის ასპარეზობდნენ.

ახალგაზრდებმა თავი პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში გამოიჩინეს. კილაძემ 379 ქულა დააგროვა – ზუსტად იმდენი, რამდენიც ოლიმპიურმა, მსოფლიოსა და ევროპის სამგზის ჩემპიონმა **ნინო სალუქვაძემ**. მეტიც – დამატებითი მაჩვენებლები კილაძეს უკეთესი აღმოაჩნდა და შედეგად მე-15 ადგილზე გავიდა, სალუქვაძე კი ერთი საფეხურით ჩამორჩა.

მაჭავარიანმა, ამავე დისტანციაზე, საკუთარი რეკორდი 2 ქულით გააუმჯობესა და 576-მდე გაზარდა, რაც ახალგაზრდებში საქართველოს რეკორდია. მან განსაკუთრებით კარგად მეხუთე სერიაში ისროლა, სადაც მხოლოდ ერთი ქულა დაკარგა და 99 დააგროვა. ტურნირში ის მე-14 ადგილზე გავიდა და 3 ქულით ჩამორჩა ფინალურ ოქტეტს. მოგვიანებით მან დედასთან – ნინო სალუქვაძესთან ერთად შერეულ წყვილებშიც იასპარეზა. ჩვენი დუეტი 470 ქულით აქაც მე-14 ადგილზე გავიდა...

ამდენად, ამ ტურნირმა კიდევ ერთხელ გვიჩვენა, რომ ტყვიის სროლას საკმაოდ დიდი პერსპექტივა აქვს, დაფინანსება და ყურადღება ოდნავ თუ მოემატება... შეგახსენებთ, რომ მარტში ბიჭებმა ახალგაზრდების ევროპის ჩემპიონატში ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, გუნდის შემადგენლობაში, მაჭავარიანთან ერთად **ვლადიმერ მაიოროვი** და **აკაკი მოსულიშვილი** შედიოდნენ.

სასკოლო ლიგის ორი ფინალი

სასკოლო ლიგის გათამაშების ფინალურ ტურნირს ვაჟა კაჭარავას სახელობის ფრენბურთის ოლიმპიური ცენტრის დარბაზმა უმასპინძლა. შეჯიბრება სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის ინიციატივით მიმდინარეობდა და ორ ასაკობრივ ჯგუფში გაიმართა: 1997-99 და 2000-2001 წლებში დაბადებულებს შორის, შეჯიბრებაში დედაქალაქის 80 სკოლის 800-მდე მოზარდი მონაწილეობდა.

გოგონებში, უმცროს ასაკში, ფინალში, 74-ე და 45-ე საჯარო სკოლების გუნდები გავიდნენ, ოქროს მედლები 74-ე სკოლამ (სპორტის მასწავლებელი – **თემურ ბიბილაშვილი**) მოიპოვა, რომელმაც მეტოქეს 2:0 სძლია. 45-ე სკოლა, ფინალში, უფროსი ასაკის გოგონებშიც გავიდა, მაგრამ იქაც ვერცხლის მედლებს დასჯერდა – ფინალში მათაც 0:2 დათმეს 103-ე სკოლასთან (პედაგოგი – **ეკა ყარყარაშვილი**).

ბიჭებში, უმცროსებში, ფინალურ პაექრობაში, 30-ე საჯარო სკოლის გუნდმა (პედაგოგი – **მაკა ქურციკაშვილი**) 2:0 მოუგო 98-ეს გუნდს, უფროს ასაკში კი ჩემპიონობა 155-ე სკოლამ (პედაგოგი – **თამთა დავითულიანი**) მოიპოვა, ოღონდ საამისოდ მათ მარათონული ფინალური პაექრობა დასჭირდათ 45-ე სკოლის დასამარცხებლად – 5 სეტი ითამაშეს. შეხვედრა დასრულდა ანგარიშით 3:2, 155-ეს სასარგებლოდ. დასახელდნენ საუკეთესო მოთამაშეებიც, ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით, გოგონებშიც და ბიჭებშიც: **ნინი წიკლაური** (№74 სკოლა), **ანა ნიკოლაშვილი** (№103 სკოლა), **გიორი ხიზანეიშვილი** (№30 სკოლა), **დანიელ ხეირაბადი** (№155 სკოლა).

ფინალური პაექრობები 14 ივნისს უნდა გამართულიყო, მაგრამ თბილისში მომხდარი სტიქიური უბედურების გამო ერთი კვირით გადადეს. მის ორგანიზებულად ჩატარებაში სასკოლო სპორტის ფედერაციას დიდი დახმარება გაუწიეს საქართველოს ფრენბურთის ფედერაციამ და ოლიმპიური ცენტრის ადმინისტრაციამ.

სასკოლო სპორტის ეროვნულმა ფედერაციამ, ამ დღეებში, მინი-ფეხბურთში სასკოლო ლიგის გათამაშებაც მოილია, რომლის გამარჯვებული 138-ე საჯარო სკოლის გუნდი გახდა. ეს შეჯიბრებაც რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდა თბილისის მასშტაბით და მასში 100-მდე კერძო თუ საჯარო სკოლის გუნდი მონაწილეობდა. ფინალში 138-ემ 6:1 მოუგო 155-ე სკოლას და წლევანდელი სასკოლო ლიგის ჩემპიონი გახდა. გაცილებით დაძაბული გამოდგა მესამე ადგილისთვის შეხვედრა, რომელიც პენალტების სერიით დასრულდა – 39-ე სკოლამ 180-ეს აჯობა და მესამე პრიზიორი გახდა.

რუბრიკას უძღვება
ირაკლი თავაძე

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

მასწავლებლის სამუშაო რვეული

მასწავლებლის სამუშაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

3 ლარი

მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით

საინფორმაციო გზამკვლევი აგებულია კითხვა-პასუხის კონცეფციაზე. მასში განხილულია მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხები: სწავლების, შეფასების, კომუნიკაციის, მოტივაციის, სასკოლო კონფლიქტების, სწავლის თეორიების და სასწავლო გარემოს აქტუალურ საკითხებზე. წიგნი დაეხმარება მასწავლებლებს, პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტებს.

3 ლარი

დამრიგებლის პორტფოლიო

დამრიგებლის პორტფოლიო საშუალებას აძლევს დამრიგებელს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმის მეექვსე მუხლით განსაზღვრული საქმიანობები.

გარდა შესავსები სქემებისა და ცხრილებისა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კლასის დამრიგებელს პორტფოლიოს წარმოებაში და დამრიგებლის საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

კათედრის გამგის პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

5.50 ლარი

შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
599 88 00 73, 295 80 23

მიმდინარეობს ხელმოწერა

მხატვრული ლიტერატურა

ათეოდორ ფონტანე - **ეფი ბრისტი**
მიგელ დელიბესი - **ორი რომანი**
აჰმედ ჰ. ტანპინარი - **დროის ინსტიტუტი**
ჟან ჟიონო - **ჰუსარი სახურავზე**
ჯოზეფ კონრადი - **ლორდი ჯიმი**
რაფაელ საბატინი - **ღამეული გართობანი**
ისტორიის მიღმა
ერნსტ ჰოფმანი - **სატანის ელექსირები**
ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
მარგერიტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება**
სტენდალი - **წითელი და შავი**
ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
ალბერტო მორავია - **მოწყენილობა**
ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში**
მაინ რიდი - **კვარტერონი**
ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
ალბერ კოენი - **დედაჩემი**
გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**

თითო ტომის ფასი 14 ლარი

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

წიგნი I
ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

წიგნი IV
XX საუკუნის მწერლობა

კრებულის ფასი – 12 ლარი

სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

9 ლარი

ქართველი მწერლები

1. **ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული) I-VI ტომი, – 11 ლარი**
2. **მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული) II, III, IV, V, VI, VII ტომი – 11 ლარი**
3. **ლევან გოთუა (7-ტომეული) I-II ტომი – 16 ლარი**
4. **ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული) I-II ტომი – 15 ლარი**
5. **კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, II, VI, VIII, IX, X ტომი – 16 ლარი**
6. **რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული) I, II, III, IV, V, VI ტომი – 12 ლარი**
7. **ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული) I-VII ტომი –12 ლარი**
8. **გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული) I-V ტომი – 12 ლარი**
9. **ოტია იოსელიანი (10-ტომეული) I-X ტომი – 12 ლარი**
10. **თამაზ ჭილაძე (6-ტომეული) I-VI ტომი – 10 ლარი**
11. **გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული) I, III, V ტომი – 13 ლარი**

მითითებულია თითო ტომის ფასი



თამაზ ვასაძე

კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი

10 ლარი

ფასი – 15 ლარი

შოთა რუსთაველი ეფეფხისტყაოსანი

ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია

სერიიდან ინტელექტი სკოლას

საყმაწვილო ენციკლოპედია

თითო ტომის ფასი 12 ლარი

ავტომობილი
ამინდი
სამურაი
უდაბნო
გამოგონებები
განძის ძიება
გლადიატორები
დრო და კალენდარი
ძველი ეგვიპტე
ევროპა
ვიკინგები
ფიზიკა
ქიმია
მეკობრეები
ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
კოშკები და ცათამბჯენები
ხალხთა დიდი გადასახლება
უძველესი ადამიანები
ოლიმპიური თამაშები
კრიმინალისტიკა
მათემატიკა
მეცნიერებები
ძველი რომი
ძველი საბერძნეთი
მთები
ჯანსაღი კვება
არქიტექტურა



ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:

მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

ყურადღება! ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი

რა არის რა

დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. **წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი**
2. **წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული**
3. **ფერები**
4. **გარეული ცხოველები**
5. **გარეული ფრინველები**
6. **პროფესიები**
7. **რიცხვები**
8. **შინაური ცხოველები და ფრინველები**
9. **ჰიგიენის ნივთები**
10. **საოჯახო ნივთები**
11. **ტრანსპორტი**
12. **წყლის ბინადრები**
13. **რუსული ანბანი**

2.50 ლარი

მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. **რელიგიების წარმოშობა**
2. **გარეული ფრინველები საქართველოში**
3. **გარეული ცხოველები საქართველოში**
4. **მწერები**
5. **ძვეწარმავლები საქართველოში**
6. **საქართველოს მცენარეები**
7. **სამყაროს წარმოშობა**
8. **ნიადაგი – სიცოცხლის წყარო**
9. **რეპტილიები და დინოზავრები**
10. **მსოფლიოს დროშები**
11. **ზღვის დინებები**
12. **ძიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა**
13. **ძართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა**
14. **მსოფლიოს შვიდი საოცრება**

4 ლარი

მწერალთა პორტრეტები *(34X47 სმ)*

1. **მიხეილ ჯავახიშვილი**
2. **გიორგი ლეონიძე**
3. **ირაკლი აბაშიძე**
4. **ნოდარ დუმბაძე**
5. **აკაკი წერეთელი**
6. **კონსტანტინე გამსახურდია**
7. **პაოლო იაშვილი**
8. **სულხან-საბა ორბელიანი**
9. **პოლიკარპე კაკაბაძე**
10. **გურამ რჩეულიშვილი**
11. **დავით გურამიშვილი**
12. **ბესიკი**
13. **რევაზ ინანიშვილი**
14. **თეიმურაზ I**
15. **ვახტანგ VI**
16. **გიორგი მერჩულე**
17. **გრიგოლ ორბელიანი**
18. **დავით აღმაშენებელი**

4 ლარი

რეპროდუქციები

1. **ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი**
2. **მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო**
3. **ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი**
4. **მენინები - დიეგო ველასკესი**
5. **დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო**
6. **მხატვრის ბაღი - კლოდ მონე**
7. **უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი**
8. **საძანელა - ოგიუსტ რენუარი**
9. **საკვირაო გასეირნება გრან ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა**

6.5 ლარი

მითითებულია ერთი ცალის ფასი

თემატური კლასტერები

სასკოლო თეატრალური ფესტივალი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების 100 წლისთავთან დაკავშირებით, სასკოლო თეატრალური ფესტივალი გაიმართა. ფესტივალის ფარგლებში, საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებმა ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებების მიხედვით სპექტაკლები დადგეს. კომისიამ სამი გამარჯვებული სპექტაკლი გამოავლინა, რომელთა ჩვენება, 26 მაისს, კოტე მარჯანიშვილის თეატრში გაიმართა. ღონისძიებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე და სხვა მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.

ღონისძიების დასასრულს, გამარჯვებული სკოლები დაჯილდოვდნენ ფულადი პრიზებითა და სიგელებით. საპრიზო თანხა შემდეგნაირად გადანაწილდა: ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლა – 3 000 ლარი (I ადგილი); სსიპ-ქალაქ ხობის ხობის №1 საჯარო სკოლა – 2 000 ლარი (II ადგილი); სსიპ-ქალაქ ბორჯომის №1 საჯარო სკოლა – 1 000 ლარი (III ადგილი); სსიპ-ქალაქ ფოთის N4 საჯარო სკოლა – 500 ლარი (ჟიურის ნომინაცია).

გარდა საპრიზო ადგილებისა, ჟიურიმ 10 სპექტაკლი გამოავლინა, რომელთა წარმომდგენმა სკოლებმა ასევე წამახალისებელი სიგელები მიიღეს. სკოლებს სიგელები საქართველოს განათლებისა და მეციერების მინისტრის მოადგილემ, ლია გიგაურმა გადასცა.

სამინისტროს გადაწყვეტილებით, ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლის მოსწავლეები ბაქსვუდის საზაფხულო სკოლის სამკვირიანი მოსაწვევით დაჯილდოვდნენ. კულტურის სამინისტრომ კი ფავორიტ, მეორეადგილოსან სკოლას, 2 000 ლარი და ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებების ფრანგული და ინგლისური თარგმანების კრებულები გადასცა.

თამარ სანიკიძე: *„დღეს ვაჟა-ფშაველას 100 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილი ფესტივალის დასკვნითი საღამო იმართება, დასახელდებიან გამარჯვებულები. ფესტივალის ფინანსური მხარდამჭერი იყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, რა თქმა უნდა, სხვადასხვა მხარეების ჩართულობით. არაჩვეულებრივი ფესტივალი გამოვიდა, შინაარსით დატვირთული, მოსწავლეებისათვის სახალისო.*

100-ზე მეტი სკოლა იყო ჩართული. მათ, ფესტივალის ფარგლებში, არაჩვეულებრივი სპექტაკლები აჩუქეს, პირველ რიგში, ერთმანეთს და შემდეგ – მაყურებელს, საზოგადოებას. ვფიქრობ, მსგავსი ღონისძიებების მხარდაჭერა აუცილებელია. კარგი იქნებოდა სხვადასხვა უწყებების ჩართულობა და მხარდაჭერა, ჩვენი ახალგაზრდები ნამდვილად იმსახურებენ ამას. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ჩვენი პედაგოგების დამსახურება, რამდენიმე თვის განმავლობაში, ისინი პრაქტიკულად, რეჟისორებად გვევლინებოდნენ და მართლაც ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ფესტივალი, რაც შეიძლებოდა, შინაარსიანი ყოფილიყო.“

მიხეილ გიორგაძე: *„დასრულდა სასკოლო თეატრალური ფესტივალი. დიდი სიამოვნებით მივიღე მონაწილეობა დაჯილდოების ცერემონიალში. ვფიქრობ, ის ამოცანა, რომელიც გაცხადებული იყო ფესტივალის დაწყებამდე – ვაჟას ღვაწლის პოპულარიზაცია, ბავშვების შემოქმედებითი პოტენციალისა და შემოქმედებითი უნარის გამოვლენა, წარმატებით შესრულდა. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ამ პროექტის ინიციატორებს, ორგანიზატორებს, ყველა მონაწილეს და ბევრი წარმატება ვუსურვო მომავალში.“*

ნია გოგიტიძე, მოსწავლე: *„როდესაც განათლების სამინისტრომ ვაჟა-ფშაველას 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით ვაჟას თემატიკაზე შექმნილი სპექტაკლების კონკურსი გამოცხადა, ჩემმა კლასმა მონაწილეობის მიღება გადაწყვიტა. დავდგით სპექტაკლი „სტუმარ-მასპინძელი“ და გადავიღეთ სპექტაკლის ვიდეო. მე აღაზას როლს ვასრულებ. სპექტაკლზე მუშაობის პროცესი ძალიან დამღლელი იყო, მაგრამ, იმავდროულად, ძალიან საინტერესო, გამომდინარე იქიდან, რომ მოვიძიეთ ბევრი ინფორმაცია ვაჟაზე და შევისწავლეთ მისი ნაწარმოებები. ჩვენი დამრიგებლისა და რეჟისორის, ასევე ბავშვების გულმოდგინე შრომითა და მოტივაციით, შევძელით მიგვეღწია ფინალამდე და გაგვემარჯვა. პირველი ადგილი ავიღეთ და ძალიან გახარებულები ვართ.“*

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >